# ალია

**არჩევნების მეორე ტური 12 ივლისს ჩატარდება**

N102/3032/ 4-7 ივლისი 2014 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
გამოდის 1995 წლიდან
WWW.ALIA .GE

# „კუბლაშვილის სასამართლოში მალე გასკდება ბომბი“

„რა ინფორმაციებიც გასაჯაროვდება ცოტა ხანში, საზოგადოება შოკში ჩავარდება და თითქმის ყველა მოსამართლე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დასაჭერი გახდება“






## „ნაცმოძრაობას“ სრული მობილიზაცია გამოუცხადებია

„ალიას“ აცნობეს, რომ „ნაცმოძრაობის“ ოფისში სრული ქაოსია, ლიდერები შოკში არიან და ერთიანი სამოქმედო გეგმა არ გააჩნიათ

## უგულავას შემდეგ ბოკერიას, გიგი თარგამაძესა და გია ბარამიძეს დაიჭერენო...





**მადლობა სამართლიანობისთვის ბრძოლაში ერთგულებისთვის!**

შემოწირულობა ანგარიშზე შეიტანეს:

1. შპს სტამბა „ტორის“ ხელმძღვანელმა ნუკრი დოლიძემ – 1000 ლარი; 2. ჰომეოპათმა კახა საბახტარიშვილმა – 100 ლარი, 3. ტარიელ თაბაგარი – 3 ლარი, 4. ადვოკატი გურამ გვენცაძე – 100 ლარი, 5. დავით მამუკაშვილი – 1 ლარი, 6. მერაბ ომიაძე – 1 ლარი, 7. „ახალგაზრდა ადვოკატები“ – 100 ლარი, 8. „ტოიოტა-ცენტრის“ ხელმძღვანელი ირაკლი გურჩიანი – 1500 ლარი, 9. ირაკლი ქავთარაძე – 49 ლარი; 10. ოთარ ჯანდიერი – 10 ლარი; 11. ნათელა მაღლაკელიძე – 50 ლარი; 12. ს/ს „გურმანი“ – 50 ლარი; 13. ენრიკო იაკობაშვილი – 1000; 14. ბესიკი ადამია – 5; 15. ანა იმნაიშვილი – 5; 16. ჯიბუტი – 10; 17. დიმიტრი-ელენე-ენვერ ენდელაძე – 3; 18. რიმა გოჩიაშვილი – 50, 19. გელა სულაბერიძე – 2, 20. სერგო მწითურიძე – 100. 21. თამარ მდივნიშვილი – 5. 22. იოსებ ვაშაკიძე – 5, 23. ირინე ტატუნიშვილი – 5, 24. ნუკრი რევიშვილი – 10, 25. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი – 500, 26. მანანა ვახტანგაძე, რევაზ ფახურიძე – 1, 27. ამხანაგობა საადვოკატო ბიურო მიგრიაული და პარტნიორები – 70, 28. ვასილ მეტრეველი – 10, 29. ლაერტი ზუბადალაშვილი – 100, 30. ჯუმბერ ტაგანაშვილი – 10, 31. შპს „ნილი“ – 50; 32. მამუკა კაკუშაძე 20; 33. ჩანჩალაშვილი აბრამი – 300, 34. მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან ტაიმსი“ – 100, 35. ნოდარ ბულაძე – 50, 36. ჯემალ ალანია – 3, 37. დავლოსტი გობეჯიშვილი – 30; 38. ზუბერ ავალიანი – 10; 39. გიზო ფაცია – 1000; 40. ზურაბ გუნია – 100; 41. 42. თამრიკო ფაცია – 100; 43. თეა იაკობიძე – 100; 44. მერაბ სარია – 300; 45. მარინე კანდელაკი – 5; 46. შორენა გოშუა – 5; 47. ხელვაჩაური პურპროდუქტები – 150; 48. ცისანა ქირია – 10; 49. ტარიელ ოთიაშვილი – 10; 50. ელისო შიხიაშვილი – 50; 51. ლევან ბანეთიშვილი – 300; 52. ელეონორა ბექაური –10; 53. დავით ჭაქვაძე – 190; 54. ციალა თოფურია – 100; 55. მარიკა ჯაჯანაშვილი – 2, 56. დიმიტრი ტიკარაძე – 250, 57. შპს „პირველი“ – 250, 58. ამირან იაკობიძე – 100, 59. ომარ გოცაძე – 20, 60. ქეთევან ძოწენიძე – 3. 61. მედეა სალდაძე – 10; 62. ვაჟა გელბახიანი – 30.

სპეციალური ანგარიში „თიბისი ბანკში“ GE30TB7568636020100001

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## არჩევნების მეორე ტური 12 ივლისს ჩატარდება

ცესკოს ინფორმაციით, 2014 წლის თბილისის მერის არჩევნების მეორე ტურში „ქართული ოცნების“ კანდიდატი დავით ნარმანია და „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ნიკა მელია ერთმანეთს 12 ივლისს დაუპირისპირდებიან. (ნიუპოსტი)

## უგულავას დაკავებაზე „ბი-ბი-სი“-ც წერს




ქართული ოპოზიციის ლიდერი გიგი უგულავა დაკავებულია, – ამ სათაურით სტატიას **BBC** აქვეყნებს. გამოცემა წერს, რომ საქართველოში მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერი გიგი უგულავა თბილისის აეროპორტში უკრაინაში გაფრენის წინ დააკავეს.

„გიგი უგულავას, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უახლოეს თანამებრძოლს, გამოძიება ივნისის არჩევნებისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ ფულის გათეთრებას ედავება. დაკავების წინ უგულავამ განაცხადა, რომ არ აპირებდა ქვეყნიდან გაქცევას და იმავე დღეს უკან ბრუნდებოდა. მისი მხარდამჭერები აცხადებენ, რომ ადგილი აქვს პოლიტიკურად მოტივირებულ დაკავებას“, – წერს გამოცემა. (ნიუპოსტი)

## ავტოსაგზაო შემთხვევას 9 წლის მოზარდი ემსხვერპლა




სოფელ ბაკურციხეში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 9 წლის მოზარდის სიცოცხლე ემსხვერპლა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „მერსედესის“ მარკის ავტომობილი მოზარდს თბილისი-გურჯაანის მთავარ მაგისტრალზე იმ დროს დაეჯახა, როდესაც ის გზის მეორე მხარეს გადასვლას ცდილობდა.

მოზარდი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლი მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნიუპოსტი)

## „უნდა შევეგუოთ, რომ საბოლოო სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის“



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გიგი უგულავას დაკავების ფაქტს გამოეხმაურა.

„ვისურვებდი, რომ გამოძიება იყოს სწრაფი და ეფექტური, მართლმსაჯულება იყოს სამართლიანი და კანონზე დაფუძნებული. ყველაფერი დანარჩენი, რაც ამგვარი ფაქტების გარშემო ხდება, არის პოლიტიკური შეფასებები და ეს გარდაუვალია, როდესაც ყოფილ მერს ეხება საქმე. ამ თემებს ნამდვილად არ და ვერ ჩავუღრმავდები, რადგან სამართალდამცავი ორგანოების ნებისმიერი სახის ქმედება პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან აღქმულია, როგორც მორიგი საბაბი, რათა მას მიეცეს გარკვეული ხმაურის საფუძველი. მესმის მისი მეგობრების, თანამოაზრეების, თანაპარტნიორების, ისინი არიან შეწუხებულნი. არ არის სასიხარულო, როდესაც ადამიანი აღმოჩნდება ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ ამაზე სჯობს ყველა, მათ შორის მეც, ვისაც ხელისუფლებასთან მიგვიწვდება ხოლმე ხელი, სხვადასხვა დროს ვიყოთ უფრო ფრთხილად, უფრო ჭკუით... იმის შიშით, რომ სასამართლომ შესაძლოა, რაიმე საკითხზე მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც პროკურატურის მოსაზრებების საწინააღმდეგოა და ამით პოლიტიკურმა ოპონენტმა ისარგებლოს, ამის შიშით კი პროკურატურამ და სასამართლომ არ განახორციელოს თავისი ფუნქციები ან მოვუწოდოთ, რომ ფრთხილად იყვნენ, რადგან არ გვინდა პოლიტიკურ შარში გახვევა, ეს იქნება პოლიტიკური დიქტატი სამართალდამცავ სისტემაზე. უნდა დასრულდეს ამ ქვეყანაში ის, როდესაც მოსამართლეები და პროკურორები პოლიტიკოსობდნენ და პოლიტიკოსები მოსამართლეობდნენ, როდესაც წყვეტდნენ საკითხებს – ვინ არის დამნაშავე და ვინ არ არის. სხვა ვითარებაში ვართ და ამას უნდა შევეგუოთ ყველა, უნდა შევეგუოთ, რომ საბოლოო სიტყვა ეკუთვნის სასამართლოს და რაც არ უნდა განსხვავდებოდეს სასამართლოს ვერდიქტი ვინმეს მოლოდინთან, სურვილთან, ემოციურ დამოკიდებულებასთან, უნდა დავამკვიდროთ ეს რეალობა, ეს არის კანონის უზენაესობა“, – აღნიშნა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რუმინეთმა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა



რუმინეთის პარლამენტმა ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირების პროცესი დაასრულა. პარლამენტის ქვედა პალატამ ასოცირების შესახებ შეთანხმება რიგგარეშე სხდომაზე, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, 298 ხმით არც ერთის წინააღმდეგ დაამტკიცა. ქვედა პალატის შემდეგ, ხელშეკრულება რატიფიცირებისთვის რუმინეთის სენატს გადაეგზავნა. სენატორებმა ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება 111 ხმით არც ერთის წინააღმდეგ მოახდინეს.

რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა კანონმდებლებს რუსეთის მხრიდან შესაძლო გართულებების თავიდან ასაცილებლად საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ევროპული მისწრაფებების მხარდაჭერის გაძლიერებისაკენ მოუწოდა.

„რუმინეთი ევროკავშირის პირველი წევრი სახელმწიფოა, რომელმაც ასოცირების შესახებ შეთანხმებების რატიფიცირება მოახდინა. რუმინეთის მხრიდან ეს გახლავთ საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ევროპული ინტეგრაციის პროცესის ურყევი მხარდაჭერის კიდევ ერთი დემონსტრირება. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პარლამენტების, ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების შემდეგ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება სრულად შევა ძალაში“, – აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

## რკინიგზა ბილეთების გაძვირებას უარყოფს

„საქართველოს რკინიგზის“ განცხადებით, სამგზავრო ბილეთების ფასის ზრდასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება:

„საქართველოს რკინიგზის“ 2010 წლის 1-ლი ივნისის ბრძანებულებით, თბილისი-მახინჯაურის მიმართულებით მოძრავ ელექტრომატარებლებზე, დადგინდა სამგზავრო ბილეთის ტარიფები; კერძოდ, პირველი კლასის ბილეთის ფასი განისაზღვრა 45 ლარით, ხოლო მეორე კლასის ბილეთის ფასი – 23 ლარით.

2013 წლის 23 აპრილს დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ამოქმედდა 10-თვიანი ფასდაკლება, რომელიც მოიცავს 16 სექტემბრიდან 10 ივლისამდე პერიოდს.

ფასდაკლების მიხედვით, პირველი კლასის ბილეთის ფასი 45 ლარის ნაცვლად გახლავთ 25 ლარი, მეორე კლასის ბილეთის ფასი 23 ლარის ნაცვლად 18 ლარი. ფასდაკლების ტარიფი 16 სექტემბრიდან კვლავ შევა ძალაში.

აღნიშნული ფასდაკლება ეხება მხოლოდ თბილისი-მახინჯაური-თბილისის სამგზავრო მატარებლებს. სხვა დანარჩენ მიმართულებებზე, სამგზავრო ტარიფი უცვლელი რჩება“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## დავით კოდუას არ სჯერა, რომ თავს ნამორაძე დაესხა



ბიზნესმენის დედის ლაურა ლაჭავას განცხადებით, მისი ვაჟი, დავით კოდუა სამართალდამცველებმა 4 დღის წინ დაკითხეს. მისი თქმით, დავით კოდუამ საგამოძიებო უწყებას ამომწურავი პასუხი ვერ გასცა, რადგან მას მომხდარის დეტალები კარგად არ ახსოვს.

„რადგან საგამოძიებო მოქმედებების ვადა იწურება, პროკურატურამ დათო დაკითხვაზე კიდევ ერთხელ დაიბარა. მე დავურეკე და ის ჩამოვიდა, რადგან გამოძიებასთან თანამშრომლობს. დათო 4 დღის წინ დაიკითხა, თუმცა მან სრულყოფილი ჩვენება ვერ მისცა....მას მომხდარის დეტალები კარგად არ ახსოვს. ჩემმა შვილმა გამომძიებელს სთხოვა, რომ მისთვის იმ დღის ვიდეოკადრები ეჩვენებინა, რათა გაეხსენებინა. რა და როგორ მოხდა. მას არ სჯერა, რომ თავს ნოშრევან ნამორაძე დაესხა. უკვირს, რატომ უნდა ვეცემე, არ მჯერა. რომ მან ჩემზე ხელი აიღოო“, – აცხადებს ლაურა ლაჭავა.

დავით კოდუას ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია. ის რეაბილიტაციის კურსს ამსტერდამის პარალელურად საქართველოშიც გადის. როდის დატოვებს კოდუა საქართველოს, ჯერჯერობით უცნობია. (კვირა.გე)

**საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.**

**„ალია“-„ქრონიკა“**

# „კუბლაშვილის სასამართლოში მალე გასკდება ბომბი“

## „რა ინფორმაციებიც გასაჯაროვდება ცოტა ხანში, საზოგადოება შოკში ჩავარდება და თითქმის ყველა მოსამართლე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დასაჭერი გახდება“

როგორც „ალიასთვის“ გახდა ცნობილი, უახლოეს ხანში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კოტე კუბლაშვილისა და მოსამართლეების წინააღმდეგ მთავარ პროკურატურაში რამდენიმე საჩივარი შევა. საქმე ეხება 2008-2012 წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებს და ამ ტენდერებში გამარჯვებულ სუბიექტებს. ინკოგნიტო წყაროს თქმით, გამოძიება უნდა დაინტერესდეს იმ ფინანსური დარღვევებით, რაც წლების განმავლობაში ხდებოდა ქართულ სასამართლოში. საგამოძიებო ორგანოებმა ასევე უნდა გაარკვიონ, რა თანხები იხარჯებოდა და იხარჯება დღესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების საკეთილდღეოდ, მაშინ როცა ისინი არც ერთ საქმეს არ იხილავენ. გასარკვევია, საიდან დააგროვეს არნახული ქონება არა მხოლოდ მათ, არამედ ცალკეულმა მოსამართლეებმა. გამოძიება ვალდებულია, დაინტერესდეს, ვის რამდენი ავტომანქანა ჰყავს და რა „ატკატები“ კეთდება ტენდერების კუთხით. სასწრაფოდაა გადასახედი თბილისის სააპელაციო სასამართლოს საშტატო ნუსხა. გამოსაკვლევია მოსამართლეების სამივლინებო ხარჯები და დასადგენია, ვინ სად, ან რა მიზნით დადიოდა. ფინანსური პოლიციის მიერ უნდა დადგინდეს, რამდენი დაჯდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, ვალერი ცერცვაძის კაბინეტის რემონტი და მისი პირადი კეთილდღეობა 2008-2012 წლებში. რაც მთავარია, პროკურატურა საგანგებოდ უნდა დაინტერესდეს, რომელ მოსამართლეებს გადაეცათ მიწის ნაკვეთები და სხვა სახის ქონება (ბინები, აგარაკები) სიმბოლურ ფასად – 1 ლარად.

**„თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაშვებული აქვთ იხტიოლოგის შტატი. ვალერი ცერცვაძეს კაბინეტში უდგას დიდი აკვარიუმი, ძალიან ძვირადღირებული, რომელშიც გადახდილია რამდენიმე ათეული ათასი დოლარი. ჰოდა, თევზების მოსავლელად ჰყავს აყვანილი იხტიოლოგი, რომელსაც ჩვენი ჯიბიდან, ანუ ბიუჯეტიდან ვუხდით ხელფასს ოფიციალურად“**






**„რამდენიმე მოსამართლეს არ გააჩნია იურიდიული განათლება, ეს უკვე პარლამენტის საქმეა, იქ უნდა იმსჯელონ. ეს კიდევ არაფერია, იმასთან შედარებით, რა ინფორმაციებიც გასაჯაროვდება ცოტა ხანში, საზოგადოება შოკში ჩავარდება და თითქმის ყველა მოსამართლე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დასაჭერი გახდება. ეს ახვრები, წლების განმავლობაში დედას გვიტ...ნავდნენ და ამ დროს, ნახეთ, ვის რამდენით აფინანსებდნენ, აქ მილიონებზეა საუბარი“**

ინკოგნიტო წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კოტე კუბლაშვილისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების წინააღმდეგ საჩივარი თითქმის უკვე მომზადებულია, მაგრამ ვინ მოამზადა და კონკრეტულად რა მასალები აქვს ხელში ამ ჯგუფს, ჯერჯერობით არ ხმაურდება, რათა არ იყოს ხელის შეშლა და გარკვეული ზეწოლა:

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ამ ქვეყანაში სამართალი მე ვარ“



განათლების ყოფილი მინისტრი, კახა ლომაია გიგი უგულავას დაპატიმრებას „ფეისბუკის“ გვერდზე ეხმაურება:

„საქმე ის არ არის, გიგი უგულავას მიმართ წაყენებულ ბრალში რა არის სიმართლე და რა ტყუილი, ამის გაგებას, როგორც ჩანს, რამდენიმე წელი და სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება დასჭირდება. მანამდე კი ის უდანაშაულოა, ზუსტად იმიტომ, რატომაც არის უდანაშაულო ყველა მოქალაქე იქ, სადაც უდანაშაულობის პრეზუმფციას აღიარებენ.

საქმე ის არის, რომ ეს მოხდა 12 საათის(!) შემდეგ, რაც სასამართლომ დაადგინა, რომ უგულავას მიმალვის საფრთხე არ არსებობს. ძალიან ძნელია არ იფიქრო, რომ ის, ვინც ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, არ მოქმედებდა პრინციპით „ამ ქვეყანაში სამართალი მე ვარ“. სწორედ ამ და მრავალი ამგვარი გადაწყვეტილების გამო, წინასაარჩევნო ტყუილებთან ერთად, „ქართული ოცნების“ რეპუტაცია იმდენად შელახულია სულ უფრო მეტი ადამიანის თვალში, რომ თეთრზე თეთრიაო, რომ თქვან, ამასაც აღარავინ დაუჯერებთ. და უნდობლობის ეს უფსკრული, არა „ქართული ოცნების“, არამედ საქართველოს სახელმწიფოს მდგრადობის პრობლემა გახდა“, – წერს ლომაია. (ნიუპოსტი)



## „იმედზე“ გასული ინტერვიუს შემდეგ გიგი უგულავა მემუქრებოდა“

ბიზნესმენ გიორგი კაპანაძის („რიჟა“) განცხადებით, „იმედისთვის“ მიცემული ინტერვიუს შემდეგ გიგი უგულავა მასზე ზეწოლას ახორციელებდა:

„ჩემზე, როგორც მთავარ მოწმეზე, უგულავას მხრიდან ხორციელდებოდა მუქარა. უკვე მივმართე სამართალდამცველებს და აღნიშნულ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება. ჩემ მიმართ ღირსებაშემლახველი განცხადებებისთვის უგულავასა და თარგამაძის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას ვაპირებ“, – განაცხადა კაპანაძემ.

ბიზნესმენმა გიორგი კაპანაძემ ორი კვირის წინ გადაცემა „პოლიტიკის დროში“ წინა ხელისუფლების დროს განხორციელებული ზეწოლის შესახებ ისაუბრა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თუ ახალაია არ დაისჯება, სტრასბურგში იჩივლებენ

პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის ოჯახი და ადვოკატი ბაჩო ახალაიასთვის წაყენებულ ახალ ბრალდებას ეხმიანებიან.



„ბაჩო ახალაიას დაკავების მოლოდინი მქონდა, რადგან მრავლად არიან მოწმეები, რომელთა ჩვენებებიც ბაჩო ახალაიასა და მეგის ქარდავას ბრალეულობას ადასტურებს. ახალაია ნამდვილად დამნაშავეა, რადგან ის თეთრაძის წამებაში მონაწილეობდა და ვიმედოვნებთ, ამჯერად მაინც ჩატარდება ობიექტური გამოძიება და შერჩევითი სამართალი მოისპობა“. – განაცხადა ადვოკატმა მაგდა კოტრიკაძემ.

სერგო თეთრაძის მეუღლე ნანა თეთრაძე იმედოვნებს, რომ ახალაიას დაკავება არ იქნება წინასაარჩევნო პიარი:

„ჩემი მეუღლე უკვე 2 წელზე მეტია, აღარაა ცოცხალი და ახლა რატომ დაინტერესდა პროკურატურა ახალაიას დაკავებით? დიდი იმედი მაქვს, რომ ახალაია შესაბამისად დაისჯება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სტრასბურგში ვიჩივლებ. რაც შეეხება მეგის ქარდავას, გიორგაშვილის, ჩაპლაგინისა და ლონდარიძის ეპიზოდებში მას ბრალი დასდეს და გაუგებარია, ჩემი ქმრის ეპიზოდში როგორ გასამართლდა. ჩვენების მიცემის წინა დღეს მან წერილი გამომიგზავნა, სადაც ამბობდა, რომ ეს პიარის ნაწილია და დამნაშავე არაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ქარდავაც და ახალაიაც დამნაშავეები არიან და ვიმედოვნებ, რომ ისინი კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან“. – აღნიშნა ნანა თეთრაძემ. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

„საოცარია, ამ მთავრობის პრემიები არაფერია იმასთან შედარებით, რაც სასამართლოებში ხდება და რა ფულსაც იქ ითვისებენ. არ დაიჯერებთ, თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაშვებული აქვთ იხტიოლოგის შტატი. ვალერი ცერცვაძეს კაბინეტში უდგას დიდი აკვარიუმი, ძალიან ძვირადღირებული, რომელშიც გადახდილია რამდენიმე ათეული ათასი დოლარი. ჰოდა, თევზების მოსავლელად ჰყავს აყვანილი იხტიოლოგი, რომელსაც ჩვენი ჯიბიდან, ანუ ბიუჯეტიდან ვუხდით ხელფასს ოფიციალურად. მეტიც, ცერცვაძეს ემსახურება 2 ძვირადღირებული მანქანა, რომლებიც შეძენილია ბიუჯეტიდან. თუ ჩვენ კარგად ჩავიხედავთ მოსამართლეების დეკლარაციებში, აშკარად დავინახავთ შეუსაბამობას ქონებასა და ოფიციალურ შემოსავლებს შორის. განსაკუთრებით უნდა გადამოწმდეს მამია ფხაკაძის, ვალერი ცერცვაძის, მიხეილ ჩინჩალაძის, ლევან მურუსიძის, მერაბ გაბინაშვილის, მალხაზ გურულის, ლევან ნუცუბიძის, ირაკლი შენგელიას, მამუკა ახვლედიანის, ვასილ როინიშვილის, ვასილ მშვენიერაძის, დავით მამისეიშვილის, ლევან თევზაძის და სხვების ქონება და შემოსავლები. ეს ის ხალხია, ვისაც „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში გამოჰქონდა უკანონო გადაწყვეტილებები. ამ ადამიანებს „მადლიერების“ ნიშნად ურიგდებოდათ წარმოუდგენელი რაოდენობის პრემიები, რასაც ფუთავდნენ სახელფასო დანამატის ქვეშ. ეს აშკარად არის თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება. მეტსაც გეტყვით, ცერცვაძეს, ჩინჩალაძეს, გურულს, მურუსიძესა და სხვა მოსამართლეებს ერთ-ერთი ბანკიდან გამოტანილი აქვთ სესხები წარმოუდგენლად დაბალ პროცენტში, თითქმის უპროცენტოდ.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ძვირადღირებული მანქანა შეიძინა რამაზ ჟღენტისთვის, რომელიც გახლავთ მიშა მაჭავარიანის სიმამრი და 2013 წლის ჩათვლით იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. ასევე, ვალერი ცერცვაძის აპარატის რამდენიმე თანამშრომელი სარგებლობს ძვირადღირებული მანქანით, ამ პირებს კანონით მანქანები არ ეკუთვნით. ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად რჩება თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის მშენებლობისა და რემონტის საკითხი. ამ საქმეზე „ნაციონალებმა“ თავადვე დააპატიმრეს 6 კაცი, მაგრამ მათ შორის არც ერთი არ ყოფილა თანამდებობის პირი, ამ შემთხვევაშიც ბევრი რამე მიიჩქმალა და ჩაიფარცხა. წინა გამოძიებამ ხელი დააფარა საქალაქო სასამართლოს მაღალჩინოსნებს. ასევე, უნდა ვთქვა იმის თაობაზეც, რომ რამდენიმე მოსამართლეს არ გააჩნია იურიდიული განათლება, ეს უკვე პარლამენტის საქმეა, იქ უნდა იმსჯელონ. ეს კიდევ არაფერია, იმასთან შედარებით, რა ინფორმაციებიც გასაჯაროვდება ცოტა ხანში, საზოგადოება შოკში ჩავარდება და თითქმის ყველა მოსამართლე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დასაჭერი გახდება. ეს ახვრები, წლების განმავლობაში დედას გვიტ...ნავდნენ და ამ დროს, ნახეთ, ვის რამდენით აფინანსებდნენ, აქ მილიონებზეა საუბარი. 2010 წელს დაიდო სახელმწიფო აუდიტის დასკვნა, სადაც კოტე კუბლაშვილია გამოჭერილი 2 მილიონ 300 ათასი ლარის გაფლანგვაში, მაგრამ მერე „ნაცებმა“ ეს ყველაფერი მიაფუჩეჩეს და დღესაც აფუჩეჩებენ. თქვენ იცით, რომ აუდიტის სამსახურს ხელმძღვანელობს „ნაციონალი“ ლაშა თორდია, რომელიც არის კუბლაშვილის ნათესავი. აუდიტის ეს დასკვნა უკვე გამოითხოვა მთავარმა პროკურატურამ, მაგრამ ჯერ სრულყოფილი ვერსია არ აქვთ გადაგზავნილი, კუბლაშვილის დარღვევებს ასაიდუმლოებენ... ეტყობა, გასუფთავება უნდათ. თუმცა სხვა გზა არ აქვთ, უნდა გადააგზავნონ. ახლა გამოჩნდა ფარული ჩანაწერებიც, სადაც ტიპი ლაპარაკობს, ამდენი და ამდენი გადავუხადე კოტე კუბლაშვილს ამა და ამ საქმეშიო. ეს ვიდეომასალაა, უახლოეს ხანში გადმოგცემთ და კარგი იქნება, თუ გამოაქვეყნებთ. სხვათა შორის, ვინც ფული გადაიხადა, ადვოკატია, როგორც კი ალაპარაკდა, ეგრევე დაიჭირეს და „პლასტინკაც“ გადაატრიალებინეს. საჩივარში ასევე იქნება მითითებული, რომ პროკურატურამ შეისწავლოს მოსამართლეების სატელეფონო საუბრები, საიდანაც ამოიყრება, რამდენი აქვთ ნარეკი მაგათთან „ნაციონალებს“. ამ მხრივ, საგანგებოდაა გამოსაკვლევი თამაზ ურთმელიძისა და ვალერი ცერცვაძის ნომრები. გეუბნებით, კუბლაშვილის სასამართლოში მალე გასკდება ბომბი. აქ ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ დააფიქსირა „ნაცმოძრაობამ“ 2010 წელს სასამართლოში ფინანსური დარღვევები და შემდეგ რატომ შემოდეს თაროზე აუდიტის დასკვნა? იმიტომ, რომ კოტე კუბლაშვილი უფრო კარგად ჰყოლოდათ ყურებით დაჭერილი, ეს მათი სტილია – გასვარე და იბატონე! ჩვენ ვხედავთ, რომ იგივე კოტე ახლაც მაგრად ჰყავთ გამოჭერილი „ნაციონალებს“ და თავიანთ დუდუკზე აცეკვებენ. კუბლაშვილი არ არის ისეთი „მასტი“, ალღო ვერ აეღო ახალი ცხოვრებისთვის, მან სცადა კიდეც ამის გაკეთება, როცა ბიძინა ივანიშვილს ფეხებში ჩაუვარდა, მაგრამ იმდენი აქვს ნაჭამი, „ნაციონალების“ შანტაჟს თავს ვერ აღწევს“.

**რატომ დააფიქსირა „ნაცმოძრაობამ“ 2010 წელს სასამართლოში ფინანსური დარღვევები და შემდეგ რატომ შემოდეს თაროზე აუდიტის დასკვნა? იმიტომ, რომ კოტე კუბლაშვილი უფრო კარგად ჰყოლოდათ ყურებით დაჭერილი, ეს მათი სტილია – გასვარე და იბატონე! ჩვენ ვხედავთ, რომ იგივე კოტე ახლაც მაგრად ჰყავთ გამოჭერილი „ნაციონალებს“ და თავიანთ დუდუკზე აცეკვებენ**



**„2010 წელს დაიდო სახელმწიფო აუდიტის დასკვნა, სადაც კოტე კუბლაშვილია გამოჭერილი 2 მილიონ 300 ათასი ლარის გაფლანგვაში, მაგრამ მერე „ნაცებმა“ ეს ყველაფერი მიაფუჩეჩეს და დღესაც აფუჩეჩებენ. თქვენ იცით, რომ აუდიტის სამსახურს ხელმძღვანელობს „ნაციონალი“ ლაშა თორდია, რომელიც არის კუბლაშვილის ნათესავი. აუდიტის ეს დასკვნა უკვე გამოითხოვა მთავარმა პროკურატურამ, მაგრამ ჯერ სრულყოფილი ვერსია არ აქვთ გადაგზავნილი, კუბლაშვილის დარღვევებს ასაიდუმლოებენ“**

აი, ყოველივე ამის შემდეგ იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი ენის მოჩლექით ამბობს, სასამართლო თავისუფალია, სასამართლოში რეფორმა მიმდინარეობსო:

„იუსტიციის სამინისტრო იბრძვის, რომ სასამართლო სისტემის რეფორმირება მოხდეს. ჩვენ შევძელით სასამართლოს დეპოლიტიზება, რაც მეწარმეებს მათი ადგილის დაკავებაში და საჭიროების შემთხვევაში თავის მართლებაში დაეხმარება“.

ეს ძალიან მაგარი განმარტებაა, რაკი თეა წულუკიანი მინისტრი გახდა, ეტყობა, ყველაფერი ვარდისფრად ეჩვენება – თურმე 2 წელია, თავდაუზოგავად იბრძვის, რომ სასამართლოს რეფორმირება მოხდეს დამნაშავე მოსამართლეების ფონზე. არა, მან უკვე მოახდინა დეპოლიტიზება, რაც თურმე მეწარმეებს თავის მართლებაში დაეხმარება. ვუსმენ ამ ქალს და ხშირად მგონია, რომ იურისპრუდენციის გაგებაში არ არის. რას ჰქვია, მეწარმეს თავის მართლებაში დაეხმარება? ნორმალურ ქვეყანაში ადამიანს იქით უნდა დაუმტკიცო დანაშაული. ისე, საინტერესოა, რა თანხებია გამოყოფილი ამჟამინდელი რეფორმის ჩასატარებლად და როგორ იხარჯება? ეს უკვე აუდიტის სამსახურმა უნდა გაარკვიოს. სხვათა შორის, ჩვენ იმ კოტე კუბლაშვილთან გვაქვს საქმე, რომელმაც ჯერ ბიძინა ივანიშვილს მოატყუა, ოღონდ დამტოვეთ და სასამართლოში სამართლიანობას აღვადგენო, ხოლო შემდეგ თეა წულუკიანს „აყლაპა“ (ან გაურიგდა), იუსტიციის უმაღლესი საბჭო თქვენი იქნება და შეგიძლიათ, რეფორმაც ჩაატაროთო. ერთი პერიოდი კუბლაშვილსა და წულუკიანს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. ეს მაშინ იყო, როცა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანა მიმდინარეობდა. კანონპროექტის ინიციატორი იუსტიციის სამინისტრო გახლდათ და ძირითადი ცვლილება უნდა შესულიყო 47-ე მუხლში, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლებურ ფორმირებას ითვალისწინებდა. 2013 წლის ნოემბერში თეა წულუკიანი სტრასბურგში „წაკუსკუსდა“, ამ დროს კუბლაშვილმა დრო იხელთა და კანონპროექტის პირველადი, სამუშაო ვარიანტი ვენეციის კომისიას გადაუგზავნა. წულუკიანმა კი დაიწყო წიოკი, ეს ოპოზიციონერობას უფრო ჰგავსო, მაგრამ მოსამართლეების უფროსმა იქით შეუტია, სასამართლო სისტემის რეფორმირება ჩემი ჩართულობის გარეშე ხდება, ეგრე არ გამოვაო: „სასამართლო ხელისუფლება გააკეთებს იმას, რასაც ჩათვლის საჭიროდ. ეს არის ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებს“.

როგორც ჩანს, წულუკიანი ვენეციის კომისიიდანაც შეახურეს (კი იტყვის, მე ის ქალი არ ვარ, ვინმემ შემახუროსო, მაგრამ ასეა), კოტეს საქმეებში ნუ ერევიო და ამის შემდეგ ხმა აღარ ამოუღია. მაშინ, როცა კუბლაშვილმა „ოვნების“ ხელისუფლებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოც „დააწერა“ და საერთოდ, მთელი სასამართლო სისტემაც, წულუკიანი თავს იტყუებს (ჩვენ უკვე ვეღარ გვატყუებს): „ნაბიჯ-ნაბიჯ წარმოებული სასამართლო-საკანონმდებლო რეფორმა საბოლოო შედეგს მალე გამოიღებსო“. ნეტარ არიან მორწმუნენი, სანამ საქმეში პროკურატურა არ ჩაერევა.

დაბოლოს... თუკი გამოძიება სწორად წარიმართა, რა ბერკეტი აქვს პროკურატურას, რომ „იმუნიტეტიანი“ კოტე კუბლაშვილი თავისივე კოლეგების გადაწყვეტილებით დააპატიმროს? პირველი – სისხლის სამართლის კოდექსში არის მუხლი, რომელიც ეხება თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, ამ თემაზე „ალიასთან“ პარლამენტის ვიცესპიკერმა, მანანა კობახიძემ უკვე ისაუბრა და მან შესაძლებლად ჩათვალა ამ მუხლის გამოყენება; მეორე – კოტე კუბლაშვილს სამსახურებრივი ვადა უმთავრდება 2015 წლის თებერვალში, იქამდე 8 თვეზე ცოტა ნაკლებია დარჩენილი და ბუნებრივია, ეს დრო გამოძიებას აუცილებლად დასჭირდება. თებერვლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მთავარ მოსამართლეს ვეღარც იმუნიტეტი დაიცავს და ვეღარც იუსტიციის უმაღლესი საბჭო. როგორც ქალბატონი მანანა ამბობს „ალიასთან“ საუბარში, თუკი მას ამ წუთას დაადანაშაულებენ თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, საბოლოო ვერდიქტი მაინც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა გამოიტანოს, თებერვლის შემდეგ კი ეს პროცედურა აღარ იქნება საჭირო, ანუ საბჭო ვეღარ ჩაერევა.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თბილისში პოლიციის ახალი შენობის მშენებლობა იწყება



თბილისში, გამსახურდიას გამზირზე, №46-ში პოლიციის ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ, შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე გურამ ტომარაძემ და ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსმა გიორგი დალაქიშვილმა პოლიციის ძველი შენობის ადგილზე ახალი შენობის საძირკველში სიმბოლური კაფსულა ჩადეს.

ოთხსართულიანი, თანამედროვე შენობა უახლესი ტექნიკითა და ინვენტარით იქნება აღჭურვილი. ახალ შენობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე სამსახური: ქალაქ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფები განთავსდება. აღნიშნული სამსახურები დღემდე სხვადასხვა შენობაში იყო განლაგებული. მათი ერთ ადმინისტრაციულ შენობაში განთავსება კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესებს კოორდინირებულ, ოპერატიულ და ეფექტურ საქმიანობას, მოქალაქეებისთვის კი ბევრად კომფორტული იქნება. ახალ ადმინისტრაციულ შენობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სპეციალური პანდუსები ექნება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „უგულავასთან ერთად ივანიშვილის დაკავების საკითხი უნდა დადგეს“



„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას დაკავებას ეხმაურება:

„რა ბრალდებაც გიგი უგულავას აქვს წაყენებული, იგივე ბრალდება შეიძლება წარედგინოს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც წლების განმავლობაში ოფშორული კომპანიებიდან აძლიერებდა „ნაცმოძრაობას“. როგორც ჩანს, ეს სქემები კარგად იციან, კარგად აქვთ დახვეწილი და სადაც უგულავას პასუხისმგებლობა დგება ასეთ საკითხებზე, იქვე უნდა დადგეს ივანიშვილის დაკავების საკითხი. შერჩევითი სამართლიანობა თავისთავად პოლიტიკურს ნიშნავს და თუ სამართალი და კანონი ერთნაირია, მაშინ ამ მიმართულებით იგივე პასუხისმგებლობა ეკისრება ბიძინა ივანიშვილსაც“, – განმარტავს გუგავა. (ნიუპოსტი)

# უგულავას შემდეგ ბოკერიას, გივი თარგამაძესა და გია ბარამიძეს დაიჭერენო...



გიგი უგულავა დაკავებულია, მორიგი მსხვერპლი ხაზინის ქურდობაში ეჭვმიტანილი გიგა ბოკერიაა. კულუარული ინფორმაციით, დამნაშავე რეჟიმიდან დასაჭერი ჯერ კიდევ ბევრია. ლაპარაკია, რომ სამართალდამცავებს კითხვები ექნებათ გივი თარგამაძესთან, გია ბარამიძესთან, თუმცა ეს აპრიორი მათ დაჭერას არ ნიშნავს. გამორიცხული კი არაფერია. როგორც წინა ნომერში ვწერდით, პრემიერ-მინისტრი ძალიან გაბრაზებულია, – ჩვენ ხალხს შევპირდით სამართლიანობის აღდგენას და არა, დანაშაულში ეჭვმიტანილთა თარეშს. ყველაფერს აქვს საზღვარი, მე ვიწყებ იმ პირობის შესრულებას, რასაც ჩემს ხალხს პატიოსნად დავპირდი... ღარიბაშვილი დიდ რეპრესიებს იწყებს. არჩევნების შემდეგ ჩვენ ვიხილავთ დაჭერების სერიალს, რაც საკადრო წმენდის პარალელურად განხორციელდება. არ არის გამორიცხული, რომ დიდ რეპრესიებში მისი გუნდის წევრებიც აღმოჩნდნენ და სამართალდამცავებს ერთ-ორ მინისტრთანაც გაუჩნდეს კითხვები. ოპერაცია „დიდი რეპრესიები“ დაწყებულია და მას ვერავინ შეაჩერებს.

პოლიტიკური ექსპერტი, იურისტი ვალერი გელბახიანი, რომელიც ჟურნალისტისთვის წარმოადგენს ოქროს, რადგან იგი პროგნოზებში თითქმის არასოდეს ცდება და სწორედ ის იყო პირველი, ვინც არჩევნებამდე ორი კვირით ადრე დააანონსა, რომ გარდაუვალი იყო გიგი უგულავას დაკავება ივნისში, ფაქტობრივად, ის არ შეცდა. გელბახიანი ასევე აცხადებდა ჩვენთან ინტერვიუში, რომ უგულავას ბედს აუცილებლად გაიზიარებს გიგა ბოკერია. ის სხვა დასაჭერებზეც საუბრობს.

**მაშ ასე, „ალიას“ კითხვებს ვალერი გელბახიანი უპასუხებს.**

**— როგორ ფიქრობთ, რა მოჰყვება გიგი უგულავას დაპატიმრებას. გახდება თუ არა ის ერთპიროვნული ლიდერი ტანჯულის მანტიაში?**

– გამორიცხულია, გიგი უგულავას დაკავებას ქვეყნის შიგნით მასშტაბური არაფერი მოჰყვება, ეს გამოიწვევს „ნაციონალური მოძრაობის“ გააქტიურებას, ისინი გააკეთებენ პატარა განცხადებებს, ხალხს ვერ აიყოლიებენ, თუმცა უგულავას დაპატიმრებას გამოეხმაურებიან დასავლეთის პოლიტიკური წრეები და მოსალოდნელია, რომ ამას დადებით კონტექსტში არ შეაფასებენ. გარწმუნებთ, რომ ამ ეტაპზე ამ საკითხს გაგრძელება არ ექნება, თუმცა ჯერ კიდევ გასარკვევია სასამართლო გადაწყვეტილება. ჯერ ჩვენ არ ვიცით უგულავას გირაოს სახით გაათავისუფლებენ, თუ წინასწარ პატიმრობაში დატოვებენ?.. აქედან გამომდინარე კი, უგულავას საბოლოოდ შეეფარდება პატიმრობა, ის უკვე ხანგრძლივი პერიოდით გამწესდება საპატიმროში, შეგახსენებთ, რომ მას 9-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება და მას განთავისუფლების არანაირი გარანტია არ ექნება, თუ ქვეყანაში არ შეიცვალა პოლიტიკური წესრიგი. ამიტომ ეს ფაქტორი „ნაციონალური მოძრაობისთვის“ სახიფათოც არის და რისკის შემცველიც. ამ ორი წლის მანძილზე გიგი უგულავა იყო სულისჩამდგმელი „ნაციონალური მოძრაობის“ იმ საქმიანობისა, რასაც ეს პარტია ეწეოდა. ვერ იტყვი, რომ ის უუნარო პოლიტიკური ძალაა, თქვენ ნახეთ, რომ ადგილობრივი არჩევნების პირველ ტურში 20%-ზე მეტი ხმა აიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ასევე კარგი შედეგი დადო საპრეზიდენტო არჩევნებზე. ეს მეტყველებს იმაზე, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავს ელექტორატი, რომ ეს არის კარგად ორგანიზებული პოლიტიკური ძალა. ამ ორგანიზებული ძალის სათავეში კი დღეს დგას გიგი უგულავა.



ამიტომაც ცხადია, უგულავას დაკავება პარტიისთვის არის ძალიან დიდი დარტყმა, მაგრამ არც ისეთი, რომ პარტია დაიშალოს. ეს არ მოხდება, თქვენ ხედავთ, რომ უკრაინაში „ნაცმოძრაობის“ ძირითადი საკადრო ნაწილი გაწვეულია და იქ მუშაობენ სერიოზულ რეფორმებზე. თუ უკრაინაში მათი დახმარებით წარმატებით განხორციელდა რეფორმები, ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური პიარის ახალი ტალღა დაიწყება, რომ საქართველოში „ნაცმოძრაობას“ დევნიან პოლიტიკური ნიშნით.

**„გიგი უგულავას დაკავებას ქვეყნის შიგნით მასშტაბური არაფერი არ მოჰყვება, ეს გამოიწვევს „ნაციონალური მოძრაობის“ გააქტიურებას, ისინი გააკეთებენ პატარა განცხადებებს, ხალხს ვერ აიყოლიებენ, თუმცა უგულავას დაპატიმრებას გამოეხმაურებიან დასავლეთის პოლიტიკური წრეები და მოსალოდნელია, რომ ამას დადებით კონტექსტში არ შეაფასებენ“**

**— ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობამ“ ეს ტაქტიკა უკვე აირჩია, ისინი იქცევიან ძალიან გამომწვევად, საუბრობენ ზიზღის ენით „ოცნების“ ლიდერების მისამართით, მათ ამოჩემებული ჰყავთ ორი პერსონა — ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი და არ დატოვეს ლექსიკონში უხამსი სიტყვა, რითიც ისინი არ შეემკოთ. ფიქრობთ თუ არა, რომ მათი ეს ტაქტიკა ემსახურება ზუსტად იმას, რომ ამტკიცონ, საქართველოში სიტყვის თავისუფლება შეზღუდულია და ჩვენ ივანიშვილის პირადი პატიმრები ვართო.**

– რა თქმა უნდა, ბევრ რამეს იტყვიან. „ნაცმოძრაობა“ პიარს არ დააკლებს, თქვენ იცით, რომ სერიოზული ტელევიზია ემსახურება მათ, თუმცა კიდევ ვიმეორებ, რომ რევოლუცია და დიდი პროტესტი უგულავას დაჭერას არ მოჰყვება, იქნება პატარ-პატარა პროტესტები, რაც ძალიან მალე ჩაცხრება. მაგრამ მე მინდა ერთი რამ ვთქვა, რაც არასოდეს არ მითქვამს და გთხოვთ, რომ ჩემი ნათქვამი დააფიქსიროთ... მინდა შედარება გავაკეთო, რომ ქართველმა ხალხმა ყველაფერი კარგად იცოდეს და ვისაც არ ახსოვს, გავახსენო... როდესაც ასლან აბაშიძე ხელისუფლებიდან წავიდა, სააკაშვილის ხელისუფლებამ ყველა დაიჭირა, მინისტრები, დეპუტატები... მახსოვს, პირველი ქობულეთის გამგებელი დაიჭირეს, იცით რატომ? მიშას აგინა და უთხრა, იარაღით აქ რატომ შემოდიხარო. შემდეგ დაიჭირეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მაგალითად, დეპუტატი მეგრელიშვილი, რომელიც იყო საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, ციხეში ჩასვეს. არ დატოვეს აჭარაში არც ერთი მინისტრი, ვინც არ გაასამართლეს. კითხვას ვსვამ, მაშინ სად იყვნენ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დღეს ასე ექომაგებიან გიგი უგულავას და „ნაციონალურ მოძრაობას“, სააკაშვილის რეჟიმი არ სჩადიოდა უკანონობას?!. უდანაშაულო, მანდატიანი ადამიანები აღმოჩნდნენ ციხეში და კაციშვილი ხმას არ იღებდა. აი, მაშინ, ეს ხალხი რომ დუმდა და დღეს ბევრს ლაპარაკობს, ეს არაფერზე არ მეტყველებს?.. საქმე ისაა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ჰყავდა დაფინანსებული, „ნაცმოძრაობას“ დიდი საერთაშორისო კომუნიკაცია აქვს, აქედან გამომდინარე ქმნიან ისეთ ფონს, რომ ქვეყანაში თითქოს გიგი უგულავას დაკავებას პროტესტი მოჰყვება. ქვეყანა და ხალხი „ნაცმოძრაობის“ დამნაშავე ფიგურების დაპატიმრებაზე სულაც არ დარდობს, პირიქით, ისინი ამას ითხოვენ, დარდობენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და მათი აქტივისტები. ამიტომ, კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ გიგი უგულავას დაპატიმრება, ხალხში სერიოზულ პროტესტს ვერ გამოიწვევს. სამი თვის შემდეგ შეიძლება ქვეყანაში მღელვარება დაიწყოს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ „ნაცმოძრაობის“ გამო ხალხს გული შესტკივა და მათ დაჭერებს აპროტესტებენ, ეს გამოსვლები დაიწყება იმიტომ, რომ დაჭერებით ხალხს მთავრობა კუჭს ვერ ამოუვსებს.

**— რა არის ამ ხელისუფლების შეცდომა სხვა პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში, რომლებიც გარიყეს და ძირითად ოპოზიციურ მოთამაშედ „ნაცმოძრაობა“ დაიტოვეს?..**

– რა თქმა უნდა, მთავრობა შეცდომას უშვებს იმ პარტიების მიმართ, რომლებიც დღეს უპირისპირდებიან „ნაცმოძრაობას“, „ოცნებამ“ კი ისინი ყველა მიმართულებით გარიყა. პოლიტიკური პარტიებისადმი ასეთი დამოკიდებულება მთავრობის მხრიდან მათ აიძულებს, „ნაცმოძრაობის“ გვერდით აღმოჩნდნენ იმ მოთხოვნებში, რაც დღეს ხალხს სჭირდება, ეს იქნება მთავრობის ბრალი და არა „ნაცმოძრაობის“ დამსახურება. გარწმუნებთ, ადრე იქნება თუ გვიან, მთელი

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სააკაშვილი კიევში „ნაცმოძრაობის“ წევრებს შეხვდა



საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კიევში პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შეხვდა და გიგი უგულავას დაკავების ფაქტზე კომენტარი გააკეთა.

„არა მხოლოდ საქართველოს მთავრობა, საქართველო გამოიყურება ცუდად. თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში დიდი ხანია, ასე აღარავინ მოქმედებს. რა თქმა უნდა, კანონზე მაღლა არავინ დგას, მაგრამ პოლიტიკური პროცესის ჩანაცვლება პროკურატურისა და სასამართლოს მანიპულაციებით ძალიან მოკლევადიანია და ცუდად მთავრდება.

არ გვჭირდება ზედმეტი გართულებები, ისედაც რთულ მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყანა. ეს ყველაფერი ცუდად დაუმთავრდებათ იმათ, ვინც ამას აკეთებს. არ მინდა, ამ ყველაფერს გადაჰყვეს ქვეყნის ინტერესები. ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან მობილიზებულები და ყველას ვაჩვენოთ, რომ საქართველო არის ისეთი ხალხის ქვეყანა, რომელსაც შეუძლია ცივილიზებულად პოლიტიკური პროცესის წარმოება, დებატებიც, საარჩევნო კამპანიებიც, ერთმანეთთან ურთიერთობაც და არავინ გადააყოლებს საკუთარ ამბიციებს ქვეყნის ინტერესებსა და მომავალს.

რამდენადაც ვიცი, გიგი დადიოდა წინ და უკან, ხვდებოდა ხალხს, ბრუნდებოდა, არასოდეს გასჩენია სადმე დარჩენის სურვილი და თუ ვინმეს ჰგონია, რომ მისი ასეთი დაკავებით რაიმე პოლიტიკური პროცესი ჩაიშლება, არჩევნებში გარდატეხა მოხდება, ხალხი დაშინდება და სხვანაირ გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს არის ძალიან გარე და არასწორი აზროვნება. ადამიანები შეიძლება იცვლებოდნენ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, საქართველოს წინსვლასა და მისი განვითარების იდეას ვერანაირი მანიპულაცია ვერ შეაჩერებს“, – განაცხადა სააკაშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მეუფე ისაია ოკუპირებული ტერიტორიიდან დაბრუნებას ვეღარ ახერხებს



ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი მეუფე ისაია ოკუპირებული ტერიტორიიდან დაბრუნებას ვეღარ ახერხებს. ნიქოზის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ინფორმაციას ადასტურებს. მისი თქმით, მეუფე ახალგორშია გადასული, საიდანაც დაბრუნებას შესაბამისი დოკუმენტის ე.წ. ფორმა ცხრის არქონის გამო ვეღარ ახერხებს. მეუფე ახალგორში, ერთ-ერთ მონასტერში იმყოფება. (ნიუპოსტი)

## „უგულავას დაკავების შედეგი ივანიშვილს წინ დახვდება“




თბილისის უფლებამოსილებაშეჩერებული მერის გიგი უგულავას დაკავების ფაქტს საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი და უგულავას თანაგუნდელი გიგა ბოკერია ეხმიანება.

„აქ მოხდა კიდევ ერთი, ალბათ, ყველაზე უფრო თვალნათელი, დემონსტრაცია იმისა, რა ქვეყანას აშენებენ ივანიშვილი და მისი პოლიტიკური მონები. ეს არის ქვეყანა, სადაც კანონს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. სადაც ამ ოლიგარქის, ამ პოლიტიკური ავანტიურისტის კაპრიზებზეა დამოკიდებული ყველაფერი და იმის დემონსტრირებისთვის, რომ მათ შეუძლიათ, პოლიტიკურ ოპონენტს აუკრძალონ გადაადგილება, რომ გაგზავნოს სიგნალი, ყველაფერი შეიძლება გაუვიდეს, პოლიტიკურ დევნას წინ ვერაფერი დაუდგება. შედეგი თვითონ ივანიშვილს დახვდება წინ, სამწუხაროდ, ამ ყველაფერს ეწირება ჩვენი დემოკრატია, ჩვენ ყველანი ერთად ვნახავთ ამას“, – აცხადებს ბოკერია. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

„ქართული ოცნება“ თავს მოიყრის და იმ ერთობაში, ერთ-ერთი პოლიტიკური ძალა იქნება „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც აქვს უფრო მეტი შესაძლებლობა, რომ პროცესებს მისცეს სერიოზული ხასიათი. ეს პროცესი შემოდგომის იქით არის მოსალოდნელი და არავითარ შემთხვევაში გიგი უგულავას დაპატიმრების გამო.

**— სააკაშვილს „ნაციონალები“ კიევში ჰყავს დაბარებული და იქიდან ეხმიანება უგულავას დაპატიმრებას. ამ შეკრებაზე უგულავა არ გამოუშვეს ისევე, როგორც მურთაზ ზოდელავა უნდა ჩამოსულიყო აქ საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეხვედრაზეო. სააკაშვილი უგულავას დაკავებას აფასებს, როგორც პოლიტიკურ დევნას, იმედოვნებს, რომ მისთვის ცუდი პროცესები მალე ჩაივლის და აცხადებს, რომ ხელისუფლება დაპატიმრებებით ნერგავს შიშს. სააკაშვილს, ალბათ, დაავიწყდა, მის საქართველოში ადამიანები შიშისგან ჩურჩულებდნენ და ქვეყანას ტოვებდნენ. დაბრუნების რა შანსები აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“?**



**„ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავს ელექტორატი, რომ ეს არის კარგად ორგანიზებული პოლიტიკური ძალა. ამ ორგანიზებული ძალის სათავეში კი დღეს დგას გიგი უგულავა. ამიტომაც ცხადია უგულავას დაკავება პარტიისთვის არის ძალიან დიდი დარტყმა, მაგრამ არც ისეთი, რომ პარტია დაიშალოს. ეს არ მოხდება“**

– მე გარწმუნებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დაბრუნდება, მაგრამ არა ამ სახით, არამედ კოალიციურ სეგმენტებში, ის გაურიგდება სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს და ამ გზით დაბრუნდება. ყოველ შემთხვევაში დღეს ასეთი სურათია, – ყველა პირობა იქმნება კოალიციურ ფორმატში „ნაციონალების“ დასაბრუნებლად. მე ნამდვილად არ ვიცი, ვინ ჰყავს ამ მთავრობას მრჩევლებად და ვერ გავიგე, რა კონგლომერატია „ოცნება“, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ზუსტად იმ კვანძში დასრულდეს ყველაფერი, რაც „ნაცმოძრაობას“ მოიყვანს ხელისუფლებაში.

**— კულუარული ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი აპირებს დიდი რეპრესიების გატარებას. შესაძლოა მის ბადეში საკუთარი გუნდის წევრებიც ვიხილოთ?**

– თუ მისმა ჩინოვნიკებმა ორი წლის მანძილზე ვერაფერი გააკეთეს და დააშავეს, მარტო „ნაციონალების“ დაჭერა საქმეს არ უშველის, დაიჭიროს თავისი ხალხი, აჩვენოს მოსახლეობას, რომ ქვეყანაში შერჩევით სამართალს ადგილი არ აქვს. რახან „ოცნებაა“, მისი დანაშაული გმირობაა?.. დანაშაული ყველგან დანაშაულია, ზოგიერთი მუქთახორა მინისტრი რომ უზის, მარტო იმიტომ უნდა დაიჭიროს, რომ არაფერს აკეთებენ. უსაქმური ნაცარქექიები, ხომ ხედავთ, რომ არაფერი კეთდება. წესით, მთავრობაში უნდა არსებობდეს სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა მოიპოვოს ინფორმაცია, გადაამუშაოს, ვინ რას აკეთებს აღმასრულებელ გუნდში. იქნებ პროკურატურაში, სასამართლოშია პრობლემა, იქნებ ისეთი გარიგებები ხდება ეკონომიკის ნაწილში, რომლის გამო ქვეყანას წინსვლა არა აქვს. მე შანსს არ ვუშვებ, რომ არ მივმართო ირაკლი ღარიბაშვილს, ახალგაზრდა კაცია, მას ეკისრება ყველა პასუხისმგებლობა, კეთილი ინებოს და ინექციური მეთოდები მაინც დაიწყოს, არ ვლაპარაკობ გლობალურ რეფორმებზე. მაგრამ ის რეფორმებს ვერ დაიწყებს, ვიდრე მინისტრთა კაბინეტს არ გამოცვლის. ამიტომ, რეპრესიები კი არ არის მოსალოდნელი, მოსალოდნელია მინისტრთა კაბინეტის წმენდა, ადმინისტრაციული ბიუროკრატიის დათხოვნა, უსაქმურები ყავის დასალევად რომ დადიან სამსახურში, უნდა გაყარონ. ამიტომ, არაკვალიფიციური, არაკომპეტენტური და არაპროფესიონალი კადრები პირდაპირ არის საბოტაჟი ქვეყნის ეკონომიკის და პოლიტიკური ცხოვრებისთვის. თუ ღარიბაშვილმა სასწრაფოდ არ განახორციელა საკადრო წმენდა, მაშინ მას მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება. მე მომწონს ეს ახალგაზრდა კაცი, მომწონს მისი ენერგიული შემართება, სხვათა შორის მისი ის ტონიც კი მომწონს, რომელიც მის ასაკს მაინცდამაინც არ უხდება. მაგრამ იცი რა? ასეთი რიხით რომ დგახარ, უკან სავარძელი უნდა გედგას, როცა დაილები უნდა ჩაჯდე, უკან სიცარიელე არ უნდა იყოს. მას აქვს არჩეული რიტორიკული ფორმა, მაგრამ ის, რომ მისი მთავრობა საქმეს აკეთებს, შედეგებით არ ჩანს.

**— თუკი ღარიბაშვილი დამნაშავე „ნაციონალების“ დაჭერის გზით წავა, გამოდის, რომ მისმა ხელისუფლებამ რამდენიმე „ნაციონალი“ დეპუტატიც უნდა დააკავოს, მათ კი იმუნიტეტი იცავთ. როგორ წარმოგიდგენიათ თუნდაც გია ბარამიძის ან გივი თარგამაძის დაპატიმრება?**

– რომ გითხრათ, პოლიტიკურად მაინცდამაინც დიდ სარგებელს მოიტანს პარლამენტარის დაჭერა, რომელსაც იმუნიტეტი იცავს, ასე არ არის, მაგრამ, თუკი გამოკვეთილია დანაშაული, რომლის გადავადებაც არ შეიძლება, მაშინ დამნაშავე დეპუტატის დაკავება აუცილებელი უნდა გახდეს და არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ის, ბარამიძე თუ თარგამაძე. პროცედურულად ასე ხდება, – პროკურატურა შედის წინადადებით და მას პარლამენტი უხსნის იმუნიტეტს. ამას საკონსტიტუციო უმრავლესობა არ სჭირდება. მე როგორ მომიხსნეს იმუნიტეტი, არ გახსოვთ? ერთი კითხვაც კი არ დამისვეს, ერთხმად გადაამღერეს ჩემი იმუნიტეტის მოხსნის საკითხი. სამი განცხადება გავუგზავნე პარლამენტს, ერთი მაინც მოისმინეთ-მეთქი. არაფრად ჩამაგდეს. უყარეს კენჭი და იმუნიტეტი მომიხსნეს. იმუნიტეტის მოხსნას სჭირდება ჩვეულებრივი უმრავლესობა და არა საკონსტიტუციო უმრავლესობა. მეტსაც გეტყვით, უმრავლესობაც არ არის საჭირო, მთავარია დადგენილება, რომელსაც იღებს პარლამენტი.

**— საფრანგეთის სამართალდამცავებმა დააკავეს სარკოზი, ეს ფაქტი ქართველ სამართალდამცავებს გაუხსნის თუ არა ხელ-ფეხს სააკაშვილის დაკავებაში?**

– საფრანგეთში ყოფილი პრეზიდენტის დაპატიმრება პირველი შემთხვევა არ არის, ჟაკ შირაკი დაკითხეს და ორი წელი ატარეს სასამართლოში. რიგით პროკურორს შეუძლია დაკითხოს მაღალი თანამდებობის პირი, ეს ფაქტი მათ კი არ აშინებთ, პირიქით, ამით ამაყობენ. ამიტომ, ჩვენ თუ გვინდა ვიცხოვროთ დემოკრატიულ ქვეყანაში, რომელიც დაფუძნებულია ევროპულ პრინციპებზე, მაშინ ევროპულად გაბედოს რომელიმე პროკურორმა და დაკითხვაზე დაიბაროს მოქმედი მინისტრი, თუნდაც კახი კალაძე, რომლის მიმართაც არსებობს კითხვები, რომ თითქოს, მან ე.წ. კანონიერი ქურდი „რემენა“ საბაჟოს გვერდის ავლით საზღვარზე გადმოიყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს პროკურატურა მთავრობის ერთ-ერთი დეპარტამენტია, როგორ წარმოგიდგენიათ, რომ დეპარტამენტმა გამოუძახოს თავის უფროსს?

**— და მაინც, ვინ იქნება შემდეგი, ვისაც უგულავას გზას გაუყენებენ?**

– ადრეც გითხარით და გიდასტურებთ, რომ ეს იქნება გიგა ბოკერია, რომელსაც საბიუჯეტო თანხების გაფლანგვაში ედავებიან. შემდეგი იქნება გია ბარამიძე, ის იყო შინაგან საქმეთა მინისტრი და ძალიან სერიოზულ ბრალდებას უყენებენ. მესტიის რაიონში მან, ფაქტობრივად, ამოწყვიტა აფრასიძეების ოჯახი. შემდეგი იქნება გივი თარგამაძე, რა რევოლუციებში აღარ ერეოდა. მას ბრალად ედება ფულების უკანონო ხარჯვა, შავი ფულების ტრიალი, ლოპოტას ხეობაში ინსპირაციული შეხვედრები.

**— რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, მის დაკავებას შეძლებენ?**

– არა, ეს გამორიცხულია... მისი დაკავების უფლებას არავინ მისცემთ და იცით, რატომ? უკრაინაში სააკაშვილმა სერიოზული რეფორმების გატარება დაიწყო, მან ქურდების მიმართ დაიწყო ღია ბრძოლა, ადმინისტრაციული მიმართულებით დაწყებულია რეფორმები, უკვე დაჭერები დაიწყეს სასაზღვრო დეპარტამენტის თანამშრომლების, რომლებიც ქრთამს იღებდნენ საზღვრებზე, რეალობა იყო ის, რომ უკრაინა დიდ კორუფციაში იყო ჩათრეული, დაიწყეს იუსტიციის სახლების კეთილმოწყობა, თუ უკრაინაში კორუფცია აღმოიფხვრა, მაშინ ეს ყველაფერი მიეწერება სააკაშვილს, დღეს ის ხელმძღვანელობს რეფორმას თავისი გუნდით, რომლებიც აქედან ჩაიყვანა. მსოფლიოსთვის ანტიკორუფციული სისტემების დანერგვა იქნება ახალი ნაბიჯი და თუ ეს მას უკრაინაში გამოუვიდა, თუ აქამდე მსოფლიო ჰონკონგის მაგალითით მსჯელობდა, დღეს ლაპარაკს დაიწყებენ სააკაშვილის მაგალითით, როგორ გაატარა ანტიკორუფციული რეფორმა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კორუფციულ ქვეყანაში.

**— არჩევნების შემდეგ მოსალოდნელია მინისტრთა კაბინეტის წმენდა, ეს არის გარდაუვალი რეალობა. თქვენი აზრით, ვის მოხსნის ღარიბაშვილი?**

– პირველ დარტყმას გაუკეთებს ალასანიას ჯგუფს, ყველაზე მეტნი ისინი არიან მთავრობაში. გასარკვევია, რამდენად დიდი გავლენა აქვთ ალასანიას პარტიის წევრებს სხვა დეპუტატებზე, ისიც გასარკვევია, აწყობთ თუ არა დანარჩენ პოლიტიკურ ძალებს ეს პროცესი. ალასანიას აღმასრულებელ ხელისუფლებაში ოთხი პორტფელი უკავია, ვფიქრობ, „ფორუმელებიც“ განაწყენდებიან, რადგან არის ვარაუდი, რომ მათი მიერ წარდგენილი მინისტრი დავით დარახველიძე განთავისუფლდება პოსტიდან. საინტერესოა, „ფორუმის“ ხმები ვის მხარეს აღმოჩნდება. ასე რომ, ბევრი რამაა გასათვლელი. გასათვლელია, რომელი მინისტრის უკან რა პოლიტიკური ძალები დგანან. თუ ღარიბაშვილს ჰყოფნის მხარდაჭერა, მაშინ, რა თქმა უნდა, წავა მწვავე რეფორმაზე და მოიგებს ხალხის თვალში.

**— დაბოლოს, რატომ გააქტიურდა დაჭერების თემა მაინცდამაინც ახლა, დასავლეთის გარანტიები მიიღო ღარიბაშვილმა თუ შიდა პოლიტიკური პროცესებით იყო ნაკარნახევი?**

– ეს არის ქვეყნის შიდა პოლიტიკა და გარე ძალების მიერ ნაკარნახევი არ არის, პირადად მე ველოდი, რომ ეს დაჭერები დაიწყებოდა, რადგან ეს არის პოლიტიკური პროცესი, „ნაციონალური მოძრაობა“ საფრთხეს უქმნის მომავალ სტაბილიზაციას, თუნდაც „ქართული ოცნების“, როგორც პარტიის მომავალს, აქედან გამომდინარე, ეს ნაბიჯები არ არის მოულოდნელი.



**„თუ ღარიბაშვილის ჩინოვნიკებმა ორი წლის მანძილზე ვერაფერი გააკეთეს და დააშავეს, მარტო „ნაციონალების“ დაჭერა საქმეს არ უშველის, დაიჭიროს თავის ხალხი, აჩვენოს მოსახლეობას რომ ქვეყანაში შერჩევით სამართალს ადგილი არა აქვს. რახან „ოცნებაა“, მისი დანაშაული გმირობაა?.. დანაშაული ყველგან დანაშაულია, ზოგიერთი მუქთახორა მინისტრი რომ უზის, მარტო იმიტომ უნდა დაიჭირო, რომ არაფერს აკეთებენ“**

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „უგულავას დაკავება „ნაციონალური მოძრაობის“ დაშინებისა და დემორალიზაციის მიზნით მოხდა“

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ შტაბის ხელმძღვანელის გიგი უგულავას დაკავების ფაქტს გამოეხმაურნენ.



„არ არსებობდა არანაირი აუცილებლობა და საჭიროება, რომ გიგი უგულავა წინასწარ პატიმრობაში ყოფილიყო აყვანილი. არ მეგულება ამ ქვეყანაში ბავშვიც კი, რომელიც ფიქრობს, რომ ეს არ არის პოლიტიკური აქტი. ეს არ იყო პოლიტიკური დაკვეთა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს, რომ მოხდეს ჩვენი დემორალიზაცია, ჩვენი დაშინება, მოხდეს ჩვენთვის უარის თქმა ბრძოლაზე და ჩვენ ამ ბრძოლაში უკან დავიხიოთ. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, ეს არ მოხდება და ვერ მოხდება. ამ მეთოდებით შეუძლებელია ჩვენი განადგურება და ფორმიდან ამოგდება. არათუ უარს ვამბობთ ბრძოლაზე, პირიქით, როგორც არასოდეს ვგრძნობ განწყობას, გაათმაგებულ ენერგიას ჩემს მეგობრებში, რომ ჩვენ შევიდეთ ამ ბრძოლაში, სადაც მოვიპოვებთ გამარჯვებას. არანაირი სისხლის სამართლებრივი დევნითა და დაჭერებით არ უნდა იქნას არჩეული თბილისის მერი. მე ვამბობ, რაც არ კლავს, ის გვაძლიერებს და ბრძოლა გრძელდება“, – განაცხადა ნიკა მელიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართა



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, „ქართული ოცნების“ ოფისში კოალიციის პოლიტიკური საბჭოს სხდომა გაიმართა. საბჭოს წევრებმა საორგანიზაციო თემებზე იმსჯელეს და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციის პროცედურებს და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების გზებს.

პოლიტიკური საბჭოს სხდომას მოწვეულ სტუმრად დაესწრო საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, რომელმაც საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ახლო მომავალში დაგეგმილი უმაღლესი დონის სტუმრების ვიზიტების შესახებ. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# „ნაცმოძრაობას“ სრული მობილიზაცია გამოუცხადებია

„ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ ლიდერთათვის, თითოეული ბობოლა თანაპარტიელის დაჭერა უზარმაზარი სტრესია. ბოლო არასრული ორი წლის განმავლობაში, ამ საცოდავებმა იმდენი ასეთი სტრესი გადაიტანეს, ყველას ერთად, ერთი გუნდური ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია ნამდვილად არ აწყენდათ. გიგი უგულავას დაჭერამ კიდევ ერთხელ დასტრესა „ნაცები“. შეიძლება ითქვას, ამათ ახლა ფსიქოლოგიც ველარ უშველით. ისეთ მძიმე დღეში არიან, შესაძლოა, მალე ყველას ფსიქიატრი დასჭირდეს.

„ალიას“ აცნობეს, რომ „ნაცმოძრაობის“ ოფისში სრული ქაოსია, ლიდერები შოკში არიან და ერთიანი სამოქმედო გეგმა არ გააჩნიათ. „ალია“ წინა ნომერში წერდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი დამნაშავე „ნაცების“ დანდობას არ აპირებს, ყველას ციხეში მოუყრის თავს და როგორც ჩანს, სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რეალურად, სწორედ გიგი უგულავას დაჭერით დაიწყო. ცხადია, „ნაცებმა“ საკუთარი აგენტურის მეშვეობით უფრო მეტი იციან ირაკლი ღარიბაშვილის გეგმების შესახებ. მათ ისიც სცოდნიათ, ახლო მომავალში ციხეში რომელი მათგანი მოხვდება. ამიტომ, ერთადერთ გამოსავლად, ქუჩაში გამოსვლა და საპროტესტო აქციების გამართვა მიაჩნიათ. „ალიას“ კარგად ინფორმირებულმა წყაროებმა აცნობეს, რომ ქუჩაში გამოსვლის იდეა პირველად გია ბარამიძეს გაუჟღერებია. მას მხარს უჭერენ როლანდ ახალაია, ირმა ნადირაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, კახა ბუცხრიკიძე, აკაკი ბობოხიძე, მამუკა ახვლედიანი, ზურაბ ჯაფარიძე და სხვა „ნაცებიო“. გია ბარამიძეს განუცხადებია, დასავლეთის აღარანაირი მხარდაჭერა აღარ გვაქვს, უცხოეთის ელჩები ახლა ღრმა შეშფოთებას გამოხატავენ უგულავას დაჭერის გამო, მერე რამდენჯერმე ციხეში მოინახულებენ, წიგნებსა და გაზეთებს შეუტანენ და ამით დასრულდება ყველაფერიო. ბარამიძეს თანაგუნდელებისთვის ვანო მერაბიშვილის ამბავი შეუხსენებია – ვანო რომ დაიჭირეს, მაშინაც ასე მოხდა და აგერ, ციხეშიც ზის და კიდეც მიუსაჯეს სასჯელიო. მისივე თქმით, „ნაცმოძრაობამ“ საშინაო მხარდაჭერაც დიდი ხანია დაკარგა და ამის დასტური ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ყოფილა, ამიტომ, ერთადერთი გზა უცხოელთა ყურადღების მისაქცევად, ქუჩაში გასვლა და საპროტესტო აქციების აგორებააო, არწმუნებდა თურმე თანაგუნდელებს გია ბარამიძე. მას ყველა დასთანხმებია, რადგან „ნაცმოს“ ლიდერთა უმეტესობას უგულავას ბედი ელის. ვისაც არ დაიჭირენ, მათთვის პოლიტიკური კარიერა დასრულდება და მერე თუ საქართველოში მაინც დაედგომებათ, ესეც საკითხავია.

„ნაციონალთა“ ამ სპონტანურ არჩევანზე გადამწყვეტი როლი მიხეილ სააკაშვილმა ითამაშა. მას უკრაინიდან შემოუთვლია თავისიანებისთვის, ჩემი იმედი ტყუილად ნუ გექნებათ, ყველამ თქვენს თავს მიხედეთ, მე ჩემი გამჭირვებია, როდის დამიჭერენ, მეც არ ვიციო. სააკაშვილს „ბუნტოვშიკებისთვის“ ისიც უთქვამს, საფრანგეთის ექსპრეზიდენტი, ნიკოლა სარკოზი დაიჭირეს და ხმა არავინ ამოიღო, მე 9 საქმეზე წამიყენეს ბრალი და ზედ არავინ გადამყოლია, გიგი უგულავას დაჭერაზე საერთოდ ყურს არავინ შეიბერტყავს და თქვენ მანდ ტყუილად ფაფხურობთო.

წყაროს ინფორმაციით, მიშა გაემიჯნა თანაპარტიელებს, მათ მომავალ აქციას და პროცესებს შორიდან მიადევნებს თვალს. კაცმა რომ თქვას, ვერც გაამტყუნებ, საკუთარი ტყავის გადარჩენის მეტი, ახლა აღარაფერი ადარდებს. მართლაც, იმ 9 საქმეზე, მოწმედ რომ არის დაბარებული, კაცმა არ იცის, ბრალს რომელ მათგანზე წაუყენებენ და მასზე საერთაშორისო ძებნას როდის გამოაცხადებენ. ამიტომ, ეტყობა, საქართველოს ხელისუფლების გაღიზიანებას ერიდება და ერთი მიზეზი ესეც უნდა იყოს, რომ მიშამ „ნაცმოძრაობას“ უღალატა. კი, სააკაშვილმა გიგი უგულავას დაჭერა გააპროტესტა და ხელისუფლება პოლიტიკურ დევნაში დაადანაშაულა, მაგრამ სულ ეს იყო, ძველებურად „ტუფლებიდან“ არ ამომხტარა და ირაკლი ღარიბაშვილისა და ბიძინა ივანიშვილისთვის მკვდარი და ცოცხალი არ უგინებია. სააკაშვილის პოზიცია ბედს შეგუებული და შეშინებული კაცის საქციელია. აი, სწორედ ამის შემდეგ გაერთიანებულან „ნაცები“ და ერთად უხუვლიათ, მიშას თავისი გასჭირვებია, ჩვენ – ჩვენი, ჰოდა, ქუჩაში გავიდეთ, ვიდრე ყველას სათითაოდ არ აგვკრეფს პროკურატურაო.



> **გია ბარამიძეს განუცხადებია, დასავლეთის აღარანაირი მხარდაჭერა აღარ გაგვაჩნია, უცხოეთის ელჩები ახლა ღრმა შეშფოთებას გამოხატავენ უგულავას დაჭერის გამო, მერე რამდენჯერმე ციხეში მოინახულებენ, წიგნებსა და გაზეთებს შეუტანენ და ამით დასრულდება ყველაფერიო**

> **„ალიას“ აცნობეს, რომ „ნაცმოძრაობის“ ოფისში სრული ქაოსია, ლიდერები შოკში არიან და ერთიანი სამოქმედო გეგმა არ გააჩნიათ**




*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კუკიის სასაფლაოზე აღმოჩენილი საძვალე ნიკო ფიროსმანის არ აღმოჩნდა



კუკიის სასაფლაოზე აღმოჩენილი საძვალე ნიკო ფიროსმანის არ აღმოჩნდა, ის პატარა ბავშვს ეკუთვნის. ფიროსმანის საფლავის ადგილმდებარეობა ამ დრომდე უცნობია. ფიროსმანის საფლავის დამდგენმა კომისიამ პირველი სამუშაო შეხვედრა 3 ივლისს გამართა. კომისია ახლა პეტრე-პავლეს სახელობის სასაფლაოთი ინტერესდება.

შეგახსენებთ, რომ გარკვეული დროის წინ აღმოჩენილ საფლავის ქვას აქვს წარწერა: „შეიწყალე უფალო ნიკალა“, რაც გახდა ეჭვის საბაბი, რომ საფლავი სწორედ დიდ მხატვარს ეკუთვნის. (ნიუპოსტი)

## „სერიოზულ კამპანიას ვგეგმავთ!“




„ქართული დასის“ ლიდერის, ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, „ერთიანი ოპოზიცია“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურისთვის კამპანიას იწყებს.

„ჩვენ, ერთიანი ოპოზიცია, ძლიერ, სერიოზულ კამპანიას ვგეგმავთ, რომ არსად, სადაც კოალიცია „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ერთად დარჩა, ამომრჩეველი, უბრალოდ არ მივიდეს. არჩევნები უნდა ჩაიშალოს! საზოგადოებას მივმართავ – პასუხი აგებინეთ ხელისუფლებას ამდენი ტყუილის გამო! ნუ მიხვალთ არჩევნებზე. ზურგი შეაქციეთ მათ! ეს ყველაფერი მოგვცემს საშუალებას, რომ გავამწვავოთ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების საკითხი“, – განაცხადა ბაღათურიამ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ახალაიასა და მოწმეს შორის შელაპარაკება მოხდა



თავდაცვისა ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას პროცესზე ხმაური იყო. ერთ-ერთი მოწმის, ყოფილი პატიმრის ბერდია მესხის დაკითხვას დროს, ახალაიამ მოსამართლისგან შენიშვნა მიიღო. ყოფილი პატიმარი მის და კიდევ რამდენიმე პატიმრის წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებზე საუბრობდა და ამბობდა, რომ ბაჩო ახალაია ამ პროცესს პირადად ესწრებოდა. დაკითხვის პროცესში ახალაიასა და მესხს შორის შელაპარაკება მოხდა.

„როგორც შენ ამბობ, თუ საჭმელი არ გიჭამია და ტანსაცმელი არ გქონია, მაშინ მკვდარი უნდა ყოფილიყავი“, – კითხვით მიმართა ახალაიამ მოწმეს.

მოწმემ ექსმინისტრს სიტყვა გააწყვეტინა, რასაც ახალაიას გაღიზიანება მოჰყვა. ის მოითხოვდა, რომ მოწმეს სიტყვა არ დაესრულებინა. აღნიშნულმა ფაქტმა პროკურორების გაღიზიანებაც გამოიწვია. პროცესზე ე.წ. ნავთლუღის საქმეზე ბრალდების 5 მოწმე უნდა დაიკითხოს. (ნიუპოსტი)

## სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა




სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა. ეს არის პირველი სახელმწიფოთაშორისი საქმე, რომელიც საქართველომ შეიტანა რუსეთის წინააღმდეგ. საქმე ეხება 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების შევიწროებასა და მათ მასობრივ დეპორტაციას. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილ საჩივარს 2006 წლიდან განიხილავს.

„სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთმა მაშინ ევროპული კონვენციის არაერთი მუხლი დაარღვია. საქართველომ სამართლებრივი დავა მოიგო. ევროპელმა მოსამართლეებმა ჩათვალეს, რომ მაშინ რუსეთში ადგილი ჰქონდა კოორდინირებულ პოლიტიკას ქართველების დაკავების, დაპატიმრების და მასობრივი გამოდევნის, რაც იყო ადმინისტრაციული პრაქტიკა მაშინდელ რუსეთში ქართველი ადამიანების წინააღმდეგ. გამოვიდა მომავალი დავებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შემცველი გადაწყვეტილება. ეს არის იმ ეთნიკურად ქართველების გამარჯვება, რომლებიც 2006 წელს გახდნენ რუსეთში მოცემული დარღვევების მსხვერპლნი“, – განაცხადა წულუკიანმა. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

„ალიას“ წყარო აცხადებს, რომ „ნაცების“ ლიდერები უკვე შეუდგნენ თავიანთი მხარდამჭერების მობილიზაციას და მალე სოცქსელებითაც მოუწოდებენ მათ ქუჩაში გამოსვლისკენ. მათ იმ მხარდამჭერების იმედი აქვთ, ვინც არჩევნებზე მისცა ხმა, ილიას უნივერსიტეტის, ასევე კახა ბენდუქიძის, გიული ალასანიას უნივერსიტეტისა და კიდევ რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა. ეს უნივერსიტეტები „ნაცმოძრაობის“ კადრების სამჭედლოდ იქცა, სტუდენტები ძალიან პოლიტიზებულნი არიან, იქ ღიად და აშკარად მიდის „ნაციონალთა“ პროპაგანდა, ხელისუფლების კრიტიკა და ხშირად, მთელი ლექციები ეთმობა თურმე ამ თემას. კი, ეს სტუდენტები ნამდვილად გამოვლენ აქციებზე, რადგან დღემდე „ნაცების“ არც ერთ სხვა აქციას არ გამოჰკლებიან. სტუდენტების მობილიზება არასამთავრობო ორგანიზაციების, „თავისუფალი ზონისა“ და „დროა“-ს წევრებს დაევალათ.

„ნაციონალები“ რეგიონებიდანაც აპირებენ ხალხის ჩამოყვანას. ამის შესახებ უკვე გაფრთხილებულნი არიან პარტიის რეგიონული და რაიონული ორგანიზაციის წევრები. თუმცა, ამ საქმეში „ნაცებს“ პრობლემები შეექმნათ. რამდენიმე რაიონულმა ლიდერმა თბილისში ხალხის ჩამოყვანაზე ხომ უარი თქვა და არც თავად აპირებენ აქციებში მონაწილეობას. მათ პირდაპირ განუცხადებიათ სატელეფონო საუბრებისას პარტიის ბოსებისთვის, რომ არ აპირებენ „ნაცმოძრაობას“ საფლავში ჩაჰყვნენ, რადგან ამ პარტიას ისედაც დიდხანს და ერთგულად ემსახურნენ. როგორც იქნა... აქციებში მონაწილეობის მიღებაზე უარი უთქვამს თბილისის კოორდინატორთა ნაწილსაც. როგორც იქნა, მიხვდა ეს ხალხი, რომ დამნაშავე პარტიას უნდა გაერიდონ, მიხვდნენ, რომ, როცა გიგი უგულავა და ძმანი მისნი ათეულობით მილიონობით ლარს იპარავდნენ ბიუჯეტიდან და მთელ ქართულ ბიზნესსაც აკონტროლებდნენ, მათთვის კაპიკებს იმეტებდნენ და მონურ მორჩილებაშიც ჰყავდათ. მეტიც, კოორდინატორთა დიდ ნაწილს ფულსაც არ უხდიდნენ, რადგან კუდ-ს ჰყავდა „დავერბოვკებული, მათზე კომპრომატები ჰქონდა მოძიებული და ამ კომპრომატების გამოქვეყნების შიშით, წლების მანძილზე, უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ „ნაცმოძრაობას“. აი, კოორდინატორთა ეს „ნაწილი კვლავ ჩადგება „ნაცების“ სამსახურში და ხალხის მობილიზებასაც მოახდენს, მაგრამ ვისაც ხელფასს აძლევდნენ, მათი დიდი ნაწილი თავადაც არ გამოვა და არც სხვებს გამოიყვანს. ბევრს ისიც უთქვამს, სადაც უგულავა და ამდენი ჩინიანი „ნაციონალი“ დაიჭირეს, არც ჩვენ დაგვინდობენ, თითო-ოროლა რაღაც ჩვენც გვაქვს მიქარული და როდის რას შეგვედავებიან სამართალდამცავები, კაცმა არ იცისო. მოკლედ, ამ ხალხს უსაფრთხოების საუკეთესო საშუალებად, სახლში ჯდომა „ნაცებთან“ ყოველგვარი კავშირის განყვეტად მიაჩნიათ და ვერც გაამტყუნებ. ვინ რა ხეირი ნახა „ნაცებთან“ სიახლოვით? თუ ნახეს და იმათაც მალე ამოაშხამებენ.

მოკლედ, „ნაცები“ ქუჩაში გამოდიან და უწყვეტი საპროტესტო აქციების დაწყებას აპირებენ. აქციები, თუ რამე არ შეიცვალა, წყაროს თქმით, ამ კვირაში უნდა დაიწყონ. ამ ეტაპზე „ნაცებს“ ერთადერთი მიზანი აქვთ. ამ აქციებით საერთაშორისო საზოგადოება დაარწმუნონ, რომ საქართველოში პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის ხელისუფლება დიქტატორული რეჟიმია და სხვა არაფერი და „ნაცებს“ უსამართლოდ ჩაგრავენ. მეტად საეჭვოა, „ნაცების“ ამ ანკესზე გავლენიანი უცხოელი პოლიტიკოსები და დიპლომატები წამოეგონ. კი, მიხეილ სააკაშვილის ევროპელი და ამერიკელი ძმაკაცები ღრმა აღშფოთებას გამოხატავენ, მათი მამობილი „ევროპის სახალხო პარტიაც“ აღშფოთდა, უგულავას დაჭერას კიდევ ერთხელ დაგმობენ და პოლიტიკურ დევნად შეაფასებენ, მაგრამ ამით დასრულდება ყველაფერი. მიშას გუნდის ხრიკები უკვე ევროპელებმაც კარგად იციან და ამერიკელებმაც.

„ნაცები“ ხავსს ეჭიდებიან, მაგრამ უეჭველია, ამ ხავსზე ფეხი დაუცდებათ. აღარ დარჩათ იმდენი მხარდამჭერი, რომ სერიოზული და საფრთხის შემცველი აქციები ააგორონ. კიდევ გავიმეორებ, გიგი უგულავას დაჭერამ და სამართლიანობის აღდგენის პროცესის რეალურმა დაწყებამ, მათი ბევრი ერთგული მომხრე დააშინა. ტყუილად აქვს გია ბარამიძეს იმედი, რომ მისი და მისი კრიმინალი თანაგუნდელების თავისუფლებისა და მილიონების გადასარჩენად ნახევარი საქართველო იხუვლებს და რუსთაველზე მათ გვერდზე დადგება. „ნაცების“ პარპაში საბოლოოდ დასრულდა, ეს აქციებიც მათი ბოლო გაფაფხურება იქნება და მერე, ისეთივე უსაფრთხონი გახდებიან, როგორც მწევარისგან დამფრთხალი კურდღლები.

**„ალიამ“ ინფორმაციის გადამოწმება „ნაცმოძრაობის“ ლიდერებთან სცადა. გვაინტერესებდა, მართლა აპირებენ აქციების დაწყებას და თუ აპირებენ, როდიდან. სამწუხაროდ, ვერაფრის დაზუსტება ვერ მოვახერხეთ, რადგან კითხვებზე პასუხის გაცემა არავინ ისურვა.**

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37



**„მიხეილ სააკაშვილს უკრაინიდან შემოუთვლია თავისიანებისთვის, ჩემი იმედი ტყუილად ნუ გექნებათ, ყველამ თქვენ თავს მიხედეთ, მე ჩემი გამჭირვებია, როდის დამიჭერენ, მეც არ ვიცი, ნიკოლა სარკოზი დაიჭირეს და ხმა არავინ ამოიღოო“**

**აი, სწორედ ამის შემდეგ გაერთიანებულან „ნაცები“ და ერთად უხუვლიათ, მიშას თავისი გასჭირვებია, ჩვენ – ჩვენი, ჰოდა, ქუჩაში გავიდეთ, ვიდრე ყველას სათითაოდ არ აგვკრეფს პროკურატურაო**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლეღვის ნახარშს „ჯონსონის“ ზეთისა და იოდის ნაზავი ჩაენაცვლა



ზაფხულის დადგომასთან ერთად, დამწვრობის ცენტრში მზის სხივებით დამწვარი პაციენტების რაოდენობამ იმატა. ლეღვის ნახარშს „ჯონსონის“ ზეთისა და იოდის ნაზავი ჩაენაცვლა. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში დამწვრობის ცენტრს 30-მდე ახალგაზრდამ მიაკითხა. ყველა მათგანმა სხეულზე გარუჯვისას სწორედ ეს ნაზავი წაისვა.

გუგა ქაშიბაძე, ბ. იაშვილის სახელობის დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელი: „თითოეულ მათგანს გარუჯვამდე სხეულზე „ჯონსონის“ ზეთისა და იოდის ხსნარი აქვთ წასმული, ამის შემდეგ მზეზეირუჯებიან და დამწვრობას იღებენ. მათი უმრავლესობა გოგოა, თუმცა არიან ახალგაზრდა ვაჟებიც. კატეგორიულად ვაფრთხილებ ყველას, რომ „ჯონსონის“ ზეთისა და იოდის ხსნარი სხეულზე არ წაისვან“. (ნიუპოსტი)

## „ახალაიას საქმის მოწმე სამჯერ ნასამართლევი და ბესელიას მიერ ამნისტირებულია“



საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე, პროკურატურის მოწმე მამუკა ბეჟვაიას შესახებ წერს:

„სკანდალი!!! პროკურატურის მოწმე მამუკა ბეჟვაია ადრე სამჯერ ნასამართლევი, ბესელიას მიერ ამნისტირებული, 2014 წლის 16 აპრილს მან ჩაიდინა ვაგზლის მოედანთან ყაჩაღობა, მოქალაქე ლალი გელაშვილს ორჯერ მიაყენა ჭრილობა დანით და წაართვა მობილური ტელეფონი! იგი დააკავეს რამდენიმე საათში, მაგრამ ვინაიდან აღმოჩნდა ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ მთავარი მოწმე, იგი გაათავისუფლეს, ამ შემთხვევაში ქოცპროკურატურას გაუმართლა, ვინაიდან დაზარალებული ლალი გელაშვილი აღმოჩნდა თამაზ თამაზაშვილის ახლო მეგობარი და ადვოკატი და ასევე ნოშიკო ნამორაძის ადვოკატი, ასე რომ იგი ადვილად „გააჩუმეს“, – წერს ნადარეიშვილი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დროა, საზოგადოების ნაწილი რეტროგრადული აზროვნებიდან გამოვიდეს!“



კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილმა სახელოვნებო სფეროში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით სპეციალური ბრიფინგი გამართა.

„დღევანდელი ბრიფინგი ვერ დაიტევს იმ საქმიანობის ჩამონათვალს, რასაც ყოველდღე ახორციელებს ჩვენი სამინისტროს გუნდი კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან ერთად. საამაყოა ქვეყანაში გქონდეს 15 მუსიკალური ფესტივალი და კონკურსი. მხარს უჭერდე და აფინანსებდე 4 საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს და საერთაშორისო მასშტაბის 6 კინოფესტივალს. ყველა უნდა ვამაყობდეთ, რომ ქართული ფილმები ყოველწლიურად, ჩვენი მხარდაჭერით, მონაწილეობას იღებს მსოფლიოში მნიშვნელოვან კონკურსებზე და იმსახურებს 80-ზე მეტ ჯილდოს. საამაყოა, რომ ქართველი მწერლების შემოქმედება ითარგმნება მრავალ ენაზე და მონაწილეობას ვიღებთ ლაიფციგისა და ლონდონის წიგნის ბაზრობებზე და გამოფენებზე. საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს 2018 წელს დაგეგმილ გრანდიოზულ პროექტს – როცა ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე საქართველო მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგება. კულტურის სამინისტრო მხარს უჭერს ნიჭიერ მომავალ თაობას – ჩვენი დაფინანსებით საზღვარგარეთ სწავლობს და წარმატებებს აღწევს ათობით ახალგაზრდა შემოქმედი...

ქართულმა თეატრებმა მონაწილეობა მიიღეს 25-მდე საერთაშორისო ფესტივალში საზღვარგარეთ და საკმარისია, გადავხედოთ უცხოური პრესის გამოხმაურებას ჩვენი თეატრალური დასების წარმატების დასტურად.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ძალიან გულდასაწყვეტია, როცა მაინც ვხდებით მიზანმიმართული კრიტიკის ობიექტი. თუნდაც სულ ახლახან სრულიად უსაფუძვლო მითქმა-მოთქმის ეპიცენტრში მოექცა კულტურის სამინისტრო, რომელიც ლიანა ისაკაძის ცნობილ კლასიკური მუსიკის ფესტივალს შეეხებოდა. შეუძლებელია, ვინმე შეეწინააღმდეგოს ამ ფესტივალის არსებობას, რომელიც ბიჭვინთიდან დაიწყო, ბორჯომში გაგრძელდა და დღეს წარმატებით ხორციელდება აჭარაში. ქალბატონ ლიანა ისაკაძის შემოქმედება და საერთაშორისო მოღვაწეობა ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით ფასდაუდებელია და ეჭვგარეშეა კულტურის სამინისტროს მხარდაჭერა დიდი მუსიკოსის ამ მნიშვნელოვან საქმიანობაში. შარშანაც და წელსაც სამინისტრომ 110 000 ლარით დააფინანსა ლიანა ისაკაძის ფესტივალი „ღამის სერენადები“ გონიოში...

მინდა კიდევ ერთხელ მივიპყრო ჩვენი საზოგადოების ყურადღება და ყველას შევახსენო, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტი არ არის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის ტოლი. სამინისტროს ბიუჯეტი არ არის უსაზღვრო...

საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და უკვე დროა, ჩვენი საზოგადოების ნაწილი გამოვიდეს საბჭოთა კავშირისდროინდელი, რეტროგრადული აზროვნებიდან, როდესაც ყველაფერს სახელმწიფო აფინანსებდა.

ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოება ჩვენთან ერთად გაივლის ამ გარდამავალ პერიოდს, როდესაც ახალი მთავრობის თანამონაწილეობით მივიღებთ კულტურის პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც პირველად განსაზღვრავს სფეროს რეგულაციის ნორმებს“, – განაცხადა ბერიკაშვილმა. (რეპორტიორი)

**„ალიას“ ესაუბრება ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ გაგნიძე:**

– საფრანგეთის ექსპრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი რომ დააკავეს, უნდა გენახათ, რა ხდებოდა ილიაუნის უნივერსიტეტში, ჩატარდა აკადემიური საბჭოს სხდომა და დაიწყეს ბჭობა. ამ სხდომას ესწრებოდა გიგი თევზაძე. საბჭოზე ითქვა, რომ სარკოზის დაპატიმრებამ მოხსნა პრეზიდენტის ხელშეუხებლობის ბარიერის არსებობა და თევზაძემ სტრესი განიცადა, რადგანაც ეს ნიშნავს, რომ შესაძლოა, სააკაშვილსაც შეეხოს ეს მომენტი.

**— და თუ სააკაშვილს შეეხო, თევზაძე რა შუაშია?**

– რა და, სააკაშვილი კარგად რომ გამოიჩხრიკება, იქ თევზაძის გვარიც ამოტივტივდება, მისი ერთგული ლაქია იყო და ეგეც აგებს პასუხს. ამ სხდომაზე იყო განხილული ასევე ასოცირების ხელმოწერის საკითხი, ითქვა, რომ იმ რეგულაციებისთვის, რასაც ევროპა გვიყენებს, ქვეყანა მზად არ არის. ასოცირების შემთხვევაში ქვეყანა ბიუჯეტიდან იხდის გარკვეულ გადასახადს, ზოგი ამბობდა 15%-ს და ზოგი – 20%-ს, მოკლედ, ფაქტია, რომ გადასახადი გვექნება გადასახდელი.

**— ჩვენ განათლების სფეროში ვტრიალებთ და ამის შესახებ რა ითქვა?**

– ასოცირების რეგულაციებში განათლების საკითხიც შედის და ევროპასთან ასოცირების დროს ძლიერ უნივერსიტეტებზე იქნება დიდი მოთხოვნილება, ამიტომ ილიაუნი, სავარაუდოდ, დაიწყებს მოქმედებას, რომ შეუერთდეს ჯავახიშვილსო, ანუ დაიწყება მოძრაობა სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაერთიანებაზე.

**— მიზეზი?**

– ჩვენი უნივერსიტეტის შიგნით უკვე ღია წინააღმდეგობა მიმდინარეობს და ეს მოდის იგივე ძალით შემოერთებული უნივერსიტეტების თანამშრომლებიდან, მათ ისევ ამ უმაღლესი სასწავლებლების აღდგენა უნდათ, უცხო ენების, სპორტის აკადემიის... და ექსრექტორის აზრით, ეს რეგულაციების შესრულებას გააძნელებს, ამიტომ ის თანახმაა, რომ ოღონდ არ დაიშალოს ილიაუნის უნივერსიტეტი მარტივ მამრავლებად, შეუერთდეს სხვა უნივერსიტეტს და ასეთ ყველაზე უფრო მისაღებად მას ჯავახიშვილის უნივერსიტეტი მიაჩნია. სხვათა შორის, ეს დიდი ხნის ოცნებაა გიგი თევზაძის, ჯერ კიდევ 2005 წლიდან მოყოლებული ამაზე ოცნებობს და ახლა ფიქრობს, რომ ამისი შანსი არსებობს. თევზაძე დიდი ხანია, სერიოზულად მუშაობს ამ იდეაზე, კვალიფიციურ კადრებს იბირებდა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ვითომ ჯერ საათობრივზე ჰყავდა და მერე გადმოჰყავდა ჩვენთან, თან დიდ თანხებს უნიშნავდა, თითქმის ორ იმდენს, რამდენიც მათ ჯავახიშვილში ჰქონდათ და ასე ამზადებდა საფუძველს, რომ მერე შეეერთებინა სახელმწიფო სასწავლებელი.



# „გიგი თევზაძეს ილიაუნისა და თსუ-ს გაერთიანება უნდა“




**„ექსრექტორის აზრით, ეს რეგულაციების შესრულებას გააძნელებს, ამიტომ ის თანახმაა, რომ ოღონდ არ დაიშალოს ილიაუნის უნივერსიტეტი მარტივ მამრავლებად, შეუერთდეს სხვა უნივერსიტეტს და ასეთ ყველაზე უფრო მისაღებად მას ჯავახიშვილის უნივერსიტეტი მიაჩნია“**

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ჩამოათრიონ და პასუხი აგებინონ მძორს“



„საზოგადოებრივი მონიტორინგის ცენტრის“ თავმჯდომარე ლადო ბედუკაძე „ფეისბუკზე“ სტატუსს აქვეყნებს, სადაც გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ბაჩო ახალაიას ახალ ბრალდებაში ის მთავარი მოწმეა, უარყოფს.

„მიზანმიმართულად ცრუ ინფორმაცია ვრცელდება ბატონ ახალაიას ადვოკატების მიერ, თითქოს ჩემი ჩვენებაა ძირითადი რომელიღაც კონკრეტულ საქმეში. 2012 წლის 1-ელ ოქტომბრამდე გაზეთ „ასავალ-დასავალის“ საშუალებით, საპყრობილიდან უშუალოდ ჩემი ინიციატივით და გადაწყვეტილებით მოპარული ვიდეოჩანაწერების გავრცელებით და მას შემდეგაც, სააკაშვილის რეჟიმის სისტემურ დანაშაულთა მამხილებელ, მრავალ სისხლის სამართლის საქმეში მომიწია ჩვენების მიცემა. პირველი მათგანი ჩემ მიერ გაჟღერებული პოლკოვნიკ სერგო თეთრაძისა და ელდარ ქობალიას საქმეები გახლდათ, რომლებიც სააკაშვილის „ჯაშუშომანიის“ მსხვერპლნი გახდნენ. ჩემი ჩვენებები დევს პოლიტოლოგ, პროფესორ ვახტანგ მაისაიას და ასევე ჯაშუშობისთვის ბრალდებულ მალხაზ არქანიას წამების საქმეში და არც ერთ მათგანში არაა ერთადერთი და ძირითადი. ეს ჩვენებები თავისუფლად ხელმისაწვდომია ყველასთვის, მათ შორის ბატონ ახალაიას ადვოკატებისთვის. თუ, რომელიმე მათგანში საქმის შემდგომი გამოძიებით გამოიკვეთება კონკრეტულად ვინმეს, მათ შორის ბაჩანა ახალაიას თუ ივანე მერაბიშვილის ბრალეულობის საკითხი, ეს ჩემთვის წინასწარ უცნობია. უშუალოდ გამოძიების პრეროგატივაა ამის დადასტურებაც და გაჟღერებაც.

ახალაია ან მერაბიშვილი არ გახლავთ იმ სისხლიანი რეჟიმის შემოქმედნი, ეს პირები იყვნენ შემსრულებლები. მინდა როგორც რიგითმა ქართველმა მოვუწოდო, ვთხოვო საქართველოს პროკურატურას, ნუ შეეშინდებათ ვინმეს აღშფოთება-შეშფოთების, იმოქმედონ ქართველი ერის ინტერესებიდან გამომდინარე. უკაცრავად გამოთქმისთვის, ჩამოათრიონ და პასუხი აგებინონ მძორს, ამ რეჟიმის არქიტექტორს, რომელიც დღეს თავისუფალია, მშვიდობის მტრედივით დანავარდობს, მორალს გვიკითხავს, ადამიანთა შორის სიყვარულსა და სათნოებაზე ჟღურტულებს და მის მიერ „აშენებული“ ქვეყნის დანგრევისთვის „პასუხის მოთხოვნით“ იმუქრება. სანამ ეს ადამიანი არ დაისჯება, საქართველოს მშვიდობა ვერ ეღირსება, საქართველოში სამართლიანობის აღდგენაზე საუბარი გადაჭარბებული იქნება“. – წერს ბედუკაძე. (რეპორტიორი)

## „უგულავა თავს მხნედ გრძნობს და ბრძოლას აგრძელებს“



სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა პატიმრობაში მყოფი გიგი უგულავა „მოდულის“ შენობაში მოინახულა. მისი განცხადებით, „ის ამბობს, რომ თავს გრძნობს ძალიან მხნედ, აგრძელებს ბრძოლას. თავს მიიჩნევს პოლიტიკური დევნის მსხვერპლად და მის დაკავებას უკავშირებს სწორედ პოლიტიკას. მოპყრობასთან და პირობებთან დაკავშირებით მას არანაირი საჩივარი და პრეტენზია არ აქვს. ამბობს, რომ არის ნორმალურ პირობებში, თუმცა ბრალდებას უარყოფს. ჩვენ ვიწყებთ საქმის შესწავლას“, – განაცხადა ნანუაშვილმა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მოდულის“ წინ უგულავას მხარდამჭერი აქცია გაიმართა




„მოდულის“ შენობის წინ თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას მხარდამჭერი აქცია გაიმართა. საზოგადოებრივი მოძრაობა „დროას“ აქტივისტები უგულავას დაკავების ფაქტს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას უწოდებენ და აცხადებენ, რომ ეს გადაწყვეტილება ყოფილმა და ახლანდელმა პრემიერ-მინისტრებმა მიიღეს.

„გვინდა, რომ დასრულდეს ჰაკიმ ფაშას კლოუნადა, ეს შენობა ნამდვილი ცირკის არენაა. დაჭერობანა და ტაკიმასხარაობა არაა ევროპული არჩევანი. ხელისუფლებამ, უმჯობესია, საქმე აკეთოს და დევნებს თავი დაანებოს“. – აღნიშნა აქციის მონაწილემ. (ნიუპოსტი)

## გიგი უგულავა ძალიან მიყვარს!



საპარლამენტო უმცირესობის წევრი ირმა ნადირაშვილი სოციალურ ქსელში გიგი უგულავას დაკავებას ეხმაურება.

„ახლა, ალბათ, პოლიტიკური განცხადებების დროა, კრიტიკული განცხადებების, ხმამაღლა ყვირილის, იმის თქმის, რომ მთელ სასამართლო ინსტიტუტს სახეში შეაფურთხეს. რომ მთავარი მსაჯული ქვეყანაში ივანიშვილი ყოფილა... მაგრამ ყველაზე მეტად მე მაინც იმის თქმა მინდა, რომ ძალიან მიყვარს გიგი. მე ვერ გავუძლებდი, რასაც ის უძლებდა. უგულავას დიდი ხანია ვიცნობ. ვიცნობ კიდევ ძალიან, ძალიან ბევრ ადამიანს, ვინც გიგიმ განსაცდელის დროს არ მიატოვა. ეს ჩემთვის წითელი ხაზია... და არ დავმალავ, ძალიან მძიმე დღეც“, – წერს ირმა ნადირაშვილი. (რეპორტიორი)

*მეცხრე გვერდიდან*

**— რამდენად რეალურია ეს შეერთება?**

– თევზაძემ თუ შეძლო და ახალი მთავრობა დაარწმუნა და მაგათ კი კუდი კუდზე აქვთ გადაბმული, ეს სავსებით შესაძლებელია.

**— ეს გაერთიანება ათი წელი ვერ შეძლო თევზაძემ და ახლა როგორ მოხერხდება?**

– თევზაძემ კარგად იცის, რომ ესაა ბოლო ხავსი და მას ეჭიდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ შეკოწიწებულ „სახელმწიფოს“ კარგავს და წყალში გადაეყრება ამდენი ხნის ნაწვალები. დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში გამოიყენებს მამის გურამ თევზაძის ავტორიტეტს, რომელიც მიღებულია ივანიშვილის მიერ, შეგახსენებთ, რომ თევზაძეები დღემდე იღებენ დახმარებას ყოფილი პრემიერისგან და თუ თევზაძემ მოახერხა მთავრობის დარწმუნება, ლადო პაპავას ერთი გზა რჩება, თავად გამოიყენოს გაერთიანების რეგულაცია და თავად შემოიერთოს ილიაუნი. ამ შემთხვევაში ეს ჩვენთვის, ილიას უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის გაცილებით მისაღები იქნება. ისე, რატიანი რომ გამოდის და ბრტყელ-ბრტყელს ლაპარაკობს, ამ გაერთიანებებით მაგ ჯგუფმა მილიონები იშოვა, მაგან, ნოდიამ, თევზაძემ და ეს ახალი გაერთიანება მათი ახალი ფარი იქნება, რომ კორუფცია არ გამჟღავნდეს..

**— რომ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს სააკაშვილი ჩამოდის სექტემბერში, ამ ფაქტს როგორ აფასებენ უნივერსიტეტში?**

– იმედით და შიშით ელოდებიან, რადგანაც, როგორც გითხარით, ეშინიათ, სააკაშვილი არ დაიჭირონ აქ. სხვათა შორის, თუ გახსოვთ, ამ ცოტა ხნის წინ მოგაწოდეთ ინფორმაცია რულოვსისა და მარგველაშვილის შეხვედრის შესახებ კიევში. ეტყობა, რულოვსს ნება დაერთო მოქმედებისთვის და ამის მაგალითი ისაა, რომ რამდენიმე დღის წინ კუს ტბაზე სანდრა რულოვსმა მოაწყო დიდი პრეზენტაცია, ეს იყო მისი წიგნის, თუ ბროშურის დიდი პრეზენტაცია, სადაც გიგი თევზაძე მთავარი სტუმარი იყო პრეზენტაციის და იქ ტრიალებდა, უამრავი ხალხი ჰყავდათ მიპატიჟებული და ჰქონდათ ერთი ამბავი და ალა-ფურშეტი. იქაც საუბარი იყო სააკაშვილის ჩამოსვლაზე, თუ გახსოვთ, თავის სიტყვაში ყოფილმა პრეზიდენტმა განაცხადა, ასოცირების ხელშეკრულება რომ დაიდო, მადლობას ვუხდი ახალ მთავრობას, მაგრამ ივანიშვილი „გაზპრომის“ აქციონერიაო და მას ეს მადლობა არ ეხებაო. მიშა ცდილობს მთავრობის გული მოიგოს, იმდენი აქო ახლები. ისე, თევზაძეს საქმე მოგვარებული აქვს, ახალი მთავრობის ხელში მშვენივრად ფინანსდება, ასევე მიშას ბიბლიოთეკიდანაც და ეს დაფინანსება სავსებით გააზრებულად დაუნიშნეს, ამაზე ხელს მოვაწერ.

**„ისე, რატიანი რომ გამოდის და ბრტყელ-ბრტყელს ლაპარაკობს, ამ გაერთიანებებით მაგ ჯგუფმა მილიონები იშოვა, მაგან, ნოდიამ, თევზაძემ და ეს ახალი გაერთიანება მათი ახალი ფარი იქნება, რომ კორუფცია არ გამჟღავნდეს...“**



„ნაციონალების“ კანდიდატზე, ნიკანორ მელიაზეც ბევრს საუბრობენ ილიაუნში, თევზაძე აღიარებს, რომ მელია არის კარგი კადრი, მაგრამ მაინც უგულავა ურჩევნია. რადგანაც მეგობარი იყო და ჩახუტებულები იყვნენ. ამ ბოლო დროს მაგ ჯგუფიდან რატიანი აქტიუროობს, რადგანაც განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა და ალბათ, სავარაუდოდ, ეგ გაიტანს ილიაუნის საკითხს პარლამენტში. ამ ჯგუფშია ნოდიაც, მაგრამ ის რომ გაჩუმებულია, არ ამჩნევთ? ბევრი აქვს შეჭმული და ასე ურჩევნია, ჩუმად იყოს. ეგ ნოდია, თუ გახსოვთ, თავის დროზე შევარდნაძემ აირჩია ანტიკორუფციულ კომისიაში, შვიდკაცაში და მათი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ იყო ერთი დიდი ბლეფი. ნოდია თავად არის კორუმპირებული და ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენა თუ უნდა, სწორედ ნოდია უნდა დააკავონ და ალაპარაკონ, რა გააკეთა.



სხვათა შორის, ერთი მომენტი ივანიშვილი და ნოდია ერთმანეთს დაეტაკნენ, მაგრამ მათ შორის ერთგვარი შეთანხმება მოხდა და ეს ამბავი ჩაიფარცხა. ნოდია საკმაოდ კარგად ფინანსდება და ეგ რომ არ დააფინანსო, ენას არ გააჩერებს. ნოდარ დუმბაძე რომ ამბობს, ცალ-ცალი კალოშით ჩამოვიდაო, მაგათზეა ნათქვამი, მოვიდნენ და იმდენი იშოვეს, სად წაიღონ, არ იციან. ერთი ფეხსაცმელების ხელოსანი გავიცანი, ხარაზი, და მითხრა თევზაძეზე, გურამიშვილის ძეგლთან რომ ცხოვრობდაო, ჩემთან მოდიოდა ფეხსაცმელების გასაკეთებლადო და რაც რექტორი გახდა, თუ გინახავს-მეთქი, არაო, არ მინახავსო. რას ნახავს?



**„ამ ჯგუფშია ნოდიაც, მაგრამ ის რომ გაჩუმებულია, არ ამჩნევთ? ბევრი აქვს შეჭმული და ასე ურჩევნია, ჩუმად იყოს. ეგ ნოდია, თუ გახსოვთ, თავის დროზე შევარდნაძემ აირჩია ანტიკორუფციულ კომისიაში, შვიდკაცაში და მათი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ იყო ერთი დიდი ბლეფი. ნოდია თავად არის კორუმპირებული“**

**„თუ თევზაძემ მოახერხა მთავრობის დარწმუნება, ლადო პაპავას ერთი გზა რჩება, თავად გამოიყენოს გაერთიანების რეგულაცია და თავად შემოიერთოს ილიაუნი. ამ შემთხვევაში ეს ჩვენთვის, ილიას უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის გაცილებით მისაღები იქნება“**

**კომენტარისთვის შევეცადეთ, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ლადო პაპავას დავკავშირებოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ტელეფონი გამორთული დაგვხვდა. ამის შემდეგ დავუკავშირდით უნივერსიტეტის პროფესორს, აკადემიური საბჭოს წევრს ბატონ რამაზ ქურდაძეს:**

– რამდენადაც ვიცი, გიგი თევზაძე რექტორი აღარ არის და მასზე ვერაფერს გეტყვით, ვერც ილიაუნზე ვერაფერს გეტყვით, რას იზამს ილიაუნი, ეს მისი საქმეა და ჩვენ ვერაფრით ჩავერევით მათ საქმეში. საერთოდ, პირველად მესმის ამის შესახებ.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ივანიშვილო, ეგ შუშის სახლი ოხრად დაგრჩება“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გივი თარგამაძე თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას დაკავებას „ფეისბუკზე“ ეხმაურება:

„გიგი მხნედ არის. თითოეული ჩვენგანიც. ამ წუთიდან ადამიანის არამსგავსი ჩემი მეზობელი აღარ მაინტერესებს. ბიძინა ივანიშვილო, შენი კომფორტი დასრულდა. ეგ შუშის სახლი დაგრჩება ოხრად“, – წერს თარგამაძე. (ნიუპოსტი)

## ეკომიგრანტებთან დაკავშირებით სპეციალური კანონპროექტი შეიმუშავეს



პროექტით განსაზღვრულია ეკომიგრანტებისთვის სტატუსის მინიჭების პროცედურები და დადგენილია მათი განსახლების წესი. ეკომიგრანტ ოჯახებს ენიჭებათ არჩევანის უფლება, ხელსაყრელ მუნიციპალიტეტში საცხოვრებელი სახლი თავად მოიძიონ. იცვლება მიდგომა, რომლის მიხედვითაც ეკომიგრანტების განსახლება სამინისტროს მიერ შესყიდულ სახლებში ხდებოდა და ხშირ შემთხვევაში სტიქიით დაზარალებულები იძულებულები იყვნენ, საცხოვრებლად მათთვის უცხო გარემოში გადასულიყვნენ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „უგულავა არაერთხელ გააფრთხილეს, არ გადაეკვეთა საზღვარი“



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე გიგი უგულავას დაკავების ფაქტს გამოეხმაურა.

„აქ პოლიტიკური დევნა ნაკლებად არის. მრავალ ფინანსურ მაქცინაციაში, სახელმწიფოს ფულის გაფლანგვაში ედება მას ბრალი. პროკურატურა არის ამ საქმეებით დაკავებული და გამოძიება ობიექტურად და სწორი მიმართულებით მიდის. ჩემი ინფორმაციით, ის არაერთხელ გააფრთხილეს, არ გასულიყო ქვეყნის ტერიტორიიდან. მიუხედავად გაფრთხილებისა, მან მაინც გადაწყვიტა საზღვრის გადაკვეთა, ამიტომ მოხდა მისი დაკავება. ვინც კანონს დაარღვევს სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს. აქ მორატორიუმი საქმე ვერ უშველის“, – განაცხადა მინისტრმა. (რეპორტიორი)

## მშენებარე სახლის ხარაჩოდან მამაკაცი გადმოვარდა




ბათუმში მშენებარე სახლის ხარაჩოდან 50 წლამდე ასაკის მამაკაცი გადმოვარდა. დაშავებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმე 240-ე მუხლით აღიძრა, რაც სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს უსაფრთხოების წესების დარღვევას ითვალისწინებს. (ფრონტნიუსი)

# პარლამენტი კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტს არ აპირებს



„ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ ხელმძღვანელი გრიგოლ გაგნიძე კონსტანტინე კუბლაშვილს მოუწოდებს თანამდებობიდან გადადგეს. „კუბლაშვილი უნდა გადადგეს და გაათავისუფლოს სასამართლო ხელისუფლება „ნაციონალური მოძრაობის“ ზეწოლისგან“.

**„ალიას“ გრიგოლ გაგნიძე** ესაუბრა:

**— ბატონო გრიგოლ, კარგად იცით, რომ კუბლაშვილი თანამდებობიდან წამსვლელი არ არის. რა აზრი აქვს ამ მოთხოვნას?**

– დიახ, კუბლაშვილი უნდა გადადგეს. საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს კუბლაშვილის გადადგომა, რომელიც სამართლიანობის აღდგენის პროცესს ჩიხში აქცევს. სანამ კუბლაშვილი არ გადადგება, სამართლიანობის აღდგენის პროცესებზე საუბარი წყლის ნაყვაა. ჩვენ, ადვოკატებმა, უფლებადამცველებმა არაერთი აქცია მოვაწყვეთ უზენაესი სასამართლოს წინ კუბლაშვილის გადადგომის მოთხოვნით, მაგრამ მაშინ ეს შეუძლებელი გახდა. ახლა ვფიქრობ, უკვე ბევრად მომწიფებულია მდგომარეობა, პარლამენტს სამოქალაქო საზოგადოებამ მოსთხოვოს კუბლაშვილის გადადგომის საკითხის დღის წესრიგში დადგომა, სანამ კიდევ ბევრი რამ არ გააფუჭა, ვინაიდან მას თავმჯდომარეობის ვადა მომავალი წლის თებერვალ-მარტში უთავდება. 2005-06 წელს გაუქმდა სისხლის სამართლის კოდექსში მუხლი, რითაც შესაძლო ხდებოდა, მოსამართლეს პასუხისმგებლობა დაკისრებოდა უკანონო განაჩენის გამოტანის გამო. ამით „ნაცმოძრაობამ“ ხელ-ფეხი გაუხსნა თავის დანიშნულ მოსამართლეებს, რათა მათ თავისუფლად შეესრულებინათ ხელისუფლებისა და მაშინდელი პროკურატურის დაკვეთები. მაქვს ინფორმაცია, რომ მოქალაქეებს შეაქვთ საჩივრები მოსამართლეების მიმართ დისციპლინარულ საბჭოში. ამ დროს ამავე საბჭოს თავმჯდომარე არის კუბლაშვილი, თან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ეს კანონი სასწრაფოდაა შესაცვლელი, ვინაიდან, თავადვე მფარველობს მოსამართლეებს. ჩემს ახლობლებს, ბევრს უთქვამს, შეგვაქვს საჩივრები მოსამართლეებზე, მაგრამ პასუხსაც არ იძლევიანო. ასეთი ტენდენციურია დღეს სასამართლო.

ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, სასამართლო თავისუფალიაო, მაგრამ მიმდინარე პროცესები აშკარად გავაფიქრებინებს, რომ „ნაცმოძრაობის“ გავლენის ქვეშ არის. თუნდაც ის, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში სამოხელეო დანაშაულებზე ერთი პრეცედენტი არ არსებობდა, რომ გირაოთი პირი გარეთ დაეტოვებინათ ამავე სასამართლოს და ამავე მოსამართლეებს. დღეს კი რა სურათიც გვაქვს, კარგად ვხედავთ, „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს, რომლებსაც პროკურატურა მძიმე სამოხელეო დანაშაულებში ბრალს უყენებს, სასამართლო გარეთ უშვებს და უცხოეთში წასვლისა და მიმალვის შანსსაც აძლევს. კუბლაშვილი რომ გადადგება, მერე მოსამართლეების უმეტესობაც კანონის მიხედვით იმოქმედებს.

**— რატომ უნდა გადადგეს კუბლაშვილი, ივანიშვილმა არ დატოვა პოსტზე?**

– დიახ, ექსპრემიერმა ივანიშვილმა ხელისუფლების ცვლილებისას აღნიშნა რომ სასამართლო ხელისუფლება თავისუფალია ხელისუფლების ზეწოლისგან და დაეთანხმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც, მაგრამ ბოლო თვეებში და განსაკუთრებით ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ მოსამართლეები მთლად თავისუფლები ვერ არიან. ამას ადვოკატები, უფლებადამცველები და ჟურნალისტები ყველაზე კარგად ვგრძნობთ და ვხედავთ.

**— არსებობს რამე სამართლებრივი გზა, რომ კუბლაშვილი მანამდე გაუშვან თანამდებობიდან, სანამ ვადა ამოეწურება?**

– თუ იქნება მყარი პოლიტიკური ნება, პარლამენტს შეუძლია, მოითხოვოს კუბლაშვილის გადადგომა, თუნდაც იმ მარტივი მოტივით, რომ სასამართლო ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენის პროცესების დივერსიფიცირებას ახდენს. მიმდინარე პროცესებმა ცხადყო, რომ „ნაცმოძრაობის“ ლიდერების სასამართლო პროცესები იწელება და უფრო ლიბერალური მიდგომა აქვს მათ მიმართ, რაც საზოგადოებას აღიზიანებს. როდესაც მოსახლეობა ამ ყველაფერს უყურებს, იმ მოქალაქემ როგორღა მოითხოვოს სამართლიანობის აღდგენა თავის საქმეებში?

**„ალია“ პარლამენტარ ეკა ბესელიას** დაუკავშირდა:

**— ქალბატონო ეკა, ადვოკატი გრიგოლ გაგნიძე ამბობს, თუ პარლამენტს პოლიტიკური ნება აღმოაჩნდება, კოტე კუბლაშვილის თანამდებობიდან გაშვება შესაძლებელიაო. ასეა?**

– მე მესმის მისი. სასამართლო, რომლის 215 პოლიტპატიმარი ვალიარეთ პარლამენტში და დავადასტურეთ უზენაეს სასამართლოს მოსამართლეების პოლიტიკური დევნა, საკმარისი საფუძველია კუბლაშვილისთვის უნდობლობის გამოსაცხადებლად, მაგრამ იმპიჩმენტის პროცედურას თუ ვნახავთ, ისე ჩაწერა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომც დავიწყოთ პროცესი, შედეგამდე ვერ მიგვიყვანს.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ეს არის აგონიაში მყოფი ხელისუფლების ფართხალი“



„თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის“ აღმასრულებელი დირექტორი თეა თუთბერიძე გიგი უგულავას დაკავებას ეხმაურება.

„ამ ფაქტს არაფერი აქვს საერთო არც კანონთან და არც კანონის უზენაესობასთან. ეს არის აგონიაში მყოფი ხელისუფლების ფართხალი, რომელმაც აღარ იცის, რა მოიმოქმედოს. რა თქმა უნდა, სასამართლო კვლავ მოახერხებს, არ მოექცეს ხელისუფლების გავლენის ქვეშ და მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას. უგულავას დაბარებაც უკავშირდებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ როგორღაც შეექმნათ იმის შთაბეჭდილება, რომ ის ქვეყნიდან გარბოდა. თუმცა გაქცევის საშიშროება არ არსებობდა. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა სხვადასხვა საქმეზე უკვე რამდენიმე თვეა, დაწყებულია და თუ უგულავას არ უნდოდა საქართველოში დაბრუნება, ამას როგორღაც მოახერხებდა. ხელისუფლებამ დიდი კრახი განიცადა თვითმმართველობის ადგილობრივ არჩევნებზე და ახლა ცდილობს, ადამიანები არჩევნებზე მოიყვანოს და მოტივირებულები გახადოს“. – განაცხადა თუთბერიძემ. (ნიუპოსტი)

## იტალიაში დაკავებული 44 ადამიანიდან უმრავლესობა ქართველია



ორგანიზებული დანაშაულის წევრები იტალიის ჩრდილოეთში დააკავეს. წინასწარი ინფორმაციით, 44-კაციანი შემადგენლობის დიდ ნაწილს ქართველები შეადგენენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჯგუფი ბინებს ქურდავდა. ამოღებულია მოპარული ძვირფასეულობა და საყოფაცხოვრებო ნივთები.

ქართველებთან ერთად დაკავებულნი არიან ხორვატები, ბულგარელები და იტალიელები. დაკავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებს იტალიაში საქართველოს საელჩოც. რამდენი ქართველი იმყოფება პატიმრობაში ამ დროისთვის ჯერჯერობით უცნობია. იტალიელმა სამართალდამცავებმა ოპერაცია ერთი წლის წინათ დაიწყეს.

„ეს ინფორმაცია ჩვენც გვაქვს, ოღონდ დაუზუსტებელია ჯერჯერობით, ორგანიზებულ დანაშაულზეა საუბარი ჩრდილოეთ იტალიაში, შეიძლება იყოს ბინების გატეხაც, ზუსტად რამდენი ქართველი იყო დაკავებული, ჯერჯერობით უცნობია“, – განაცხადა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კახა სიხარულიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გიგი უგულავას 9-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში საგანგებო ბრიფინგი გაიმართა, რომელიც თბილისის უფლებამოსილებაშეჩერებული მერის გიგი უგულავას დაკავების ფაქტს უკავშირდებოდა.

„ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დააკავა გიორგი უგულავა. გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი უგულავა, როგორც დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელი, დანაშაულში ჩართულ სხვა წევრებთან ერთად, მათ შორის ამავე საქმეზე დაკავებულ მის ქვისლ გიორგი ღონიაშვილთან და ლატარიის კომპანიის ყოფილ დირექტორთან, დავით კეზერაშვილის ბიზნესპარტნიორ ალექსანდრე გოგოხიასთან ერთად, ახორციელებდა ერთ-ერთი ოფშორული კომპანიიდან საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ე.წ. „შავი ფულის“ მართლსაწინააღმდეგოდ შემოტანას, რაც შემდგომში უნდა მოხმარებოდა პოლიტიკური პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას. კერძოდ, ოფშორულ ზონაში, ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული, დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული კომპანიიდან, „ექსიმუს ჰოლდინგიდან“, რომლის დირექტორიც არის ბრალდებულის სახით ძებნილი ალექსანდრე გოგოხია, ფიქციური ხელშეკრულების საფუძველზე თანხა ირიცხებოდა ასევე ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიის, „ბრუქთრეიდის“ ანგარიშზე, საიდანაც ფიქციური ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა უკვე ხვდებოდა საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიაში, ხდებოდა აღნიშნული თანხის კონვერტაცია და გიორგი ღონიაშვილზე გადაცემა. პატიმრობაში მყოფი ღონიაშვილი, თავის მხრივ, უკანონო შემოსავალს გადასცემდა გიორგი უგულავას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მიზნით. საერთო ჯამში, ოფშორული კომპანიიდან საქართველოში ფიქციური ხელშეკრულების საფუძველზე ფულის გათეთრების გზით უნდა გადმორიცხულიყო 1 500 000 აშშ დოლარი, ხოლო გატარებული ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების შედეგად განხორციელდა მხოლოდ 760 000 აშშ დოლარის გადმორიცხვა. აღნიშნული თანხა გიორგი უგულავამ გამოიყენა პარტიული მიზნებისთვის.

რაც შეეხება ამავე საქმეზე დაკავებულ გიორგი ღონიაშვილს, სასამართლომ მას უკვე შეუფარდა წინასწარი პატიმრობა, ხოლო ალექსანდრე გოგოხიას მიმართ გამოცხადებულია ძებნა. გიორგი უგულავა დაკავებულია სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-12 წლამდე ვადით.

საქმეზე მიმდინარეობს შემდგომი ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების იდენტიფიცირების მიზნით“. (ნიუპოსტი)

# ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას სეპარატისტული მოთხოვნები უკვე მოჰყვა



ასოცირების ხელშეკრულებიდან ერთი კვირაა ჯერ გასული და სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭო ხელისუფლებას სწორედ ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 7 მოთხოვნას უყენებს: სომხური ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭება; ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმაში სამცხე-ჯავახეთის ყველა მსხვილი ქალაქის სრულყოფილი და თანაბარუფლებიანი ჩართვა;

საზოგადოებრივ, რელიგიურ, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებში არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრა; საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალოვანი სტრუქტურების უკანონო ჩარევისა და მოქალაქეების მიმართ დევნის აღმოფხვრა; საბჭოთა ოკუპაციის დროს ჩამორთმეული საკულტო შენობა-ნაგებობების სამართლებრივი მემკვიდრისთვის დაბრუნება; 6. ქართულ-სომხური უნივერსიტეტის გახსნა; სომეხი ეროვნების მოქალაქეებით დასახლებულ რაიონებში დემოგრაფიული სურათის უკანონო შეცვლის მცდელობების აღმოფხვრა.

ვინ არიან ამ განცხადების ავტორები?

**„ალია“ „მრავალეროვანი საქართველოს“ ხელმძღვანელს, არნოლდ სტეფანიანს დაუკავშირდა:**

– ქვემო ქართლში სომხური არასამთავრობო ორგანიზაციები არ არსებობენ. რამდენიმე თვის წინაც იყო მსგავსი შინაარსის განცხადება გავრცელებული, ამიტომ გადავამოწმე ინფორმაცია სომხურ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ჯავახეთში, არც ერთი არ არის ამ ორგანიზაციის წევრი და საერთოდ არავის სმენია მათ შესახებ. განცხადება ნამდვილად კვალიფიციურად არის დაწერილი და მოთხოვნებიც საკმაოდ გააზრებულია, ისე, რომ წინააღმდეგობაში არ მოვიდნენ არაფერთან. მაგრამ საინტერესოა ის, რომ აქ ჩამოყალიბებულ საკითხებზე შეიძლება საუბარი სხვანაირად და არა ამ ფორმით. ყოველთვის ვამბობდი, რომ თუ მოთხოვნების ჩამოყალიბებაზეა საუბარი, უნდა მოხდეს იმ ორგანიზაციების მხრიდან, რომელიც არსებობენ და ცხოვრობენ საქართველოში, არ მალავენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ იდენტობას. მათ მიმართ მეტი ნდობა გაჩნდება და ბოლოს და ბოლოს, იქნება მხარე, ვისაც უნდა ველაპარაკოთ ამ საკითხებზე. ამიტომ, ესენი ვინ არიან, ბევრ ეჭვს ბადებს, რატომ კეთდება? საინტერესოა ის, რომ ენის სტატუსთან დაკავშირებით, ადრე თუ გვიან, მოხდება რეგიონული ქარტიის მიღება, ეს გარდაუვალი პროცესია, რადგან საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, სააკაშვილმა მას უკვე მოაწერა ხელი. თუმცა ეს შეიძლება მოხდეს 3 წელიწადში, ან 15 წელიწადში, ლავირება შესაძლებელია. ეს ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ რეგიონულ ენებს სტატუსი მიენიჭებათ.

**„ალია“ ექსპერტს კავკასიურ საკითხებში, მამუკა არეშიძესაც დაუკავშირდა:**

**— ბატონო მამუკა, თქვენთვის ცნობილია ამ განცხადების ავტორთა ვინაობა?**

– არაფერი მსმენია ასეთი ორგანიზაციის არსებობის თაობაზე. ჯავახეთში არის ასეთი ტიპის ნაციონალური ორგანიზაციები, არის თბილისშიც, მაგრამ არასდროს ყოფილა ქვემო ქართლში. პირველად ვნახე, ერთმანეთზე ასე მიბმული იყოს ჯავახეთი და ქვემო ქართლი. ეჭვს ბადებს, რომ ეს არის ახლად შექმნილი ორგანიზაცია და არ არის გამორიცხული, შექმნილი იყოს მესამე ძალის მიერ.

მოთხოვნებში ჩანს სეპარატიზმის ნიშნები, მაგრამ პუნქტობრივად თუ მივყვებით, ენის სტატუსთან დაკავშირებით ეს არის სახელმწიფოებრივად დამღუპველი. ქართულმა დელეგაციამ ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს და შესრულება მოუწევს, ოღონდ იმ პუნქტების ამოღებით, რომელიც სახელმწიფოებრივად ნგრევას გამოიწვევს.

**— ასოცირების ხელშეკრულებით აპელირებენ. კულტურული ავტონომიის მერე პოლიტიკურ ავტონომიასაც მოითხოვენ, ალბათ.**

– ასოცირებაზე ლაპარაკი არის, მაგრამ სპეკულაციაა ევროპულ ვექტორზე, თორემ დოკუმენტი არც აქვთ წაკითხული. ამას რომ მივყვეთ, არის ისეთი მოთხოვნები, რომლებიც ადრე სხვებმაც მოითხოვეს, მაგრამ მე ახლა მაკვირვებს მეშვიდე პუნქტი. ეს არის განსაკუთრებული, რადგან რაც არ არის, იმის ტირაჟირება ხდება. ეს ნიშნავს, რომ ადამიანებს იჭერენ, მიჰყავთ თურმე პოლიციაში და უცვლიან გვარებს. ახლა ეს თუ დარჩა უპასუხოდ, მერე სხვა დოკუმენტებში გადაინაცვლებს და გახდება პოლიტიკური მოთხოვნის ფორმა.

**— რაზეა გათვლა ამ მოთხოვნებით?**

– სახელმწიფოს წინააღმდეგ. ბოლო არჩევნებმა სწორედ სამწუხარო სურათი მოგვცა. იმდენად უნიჭოდ და უნიათოდ ერეოდნენ ძალოვნები საარჩევნო პროცესებში, საბოლოოდ, იმ ხალხს, ვინც ამ რეგიონებში ცხოვრობდნენ და პოლიტიკურად აქტიურობდნენ, უთხრეს, არ გვჭირდებით. მათ ხელი ვკარით, ვუთხარით, იყავით ჩუმად, თქვენს კარმიდამოში დაეტიეთ და ხმა არ ამოიღოთ. აქედან ერთი ნაბიჯია, სხვა პოლიტიკური სივრცისკენ უბიძგო ამ ადამიანებს. ეს არის პოლიტიკური შეცდომა ხელისუფლებისა და ძალოვნების, რომლებიც ძალით ცდილობენ სიტუაციის დარეგულირებას და არა ჭკუით.

**— როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება?**

– წინა ხელისუფლება ყურს არ მიგდებდა და არც ეს იკლავს თავს, მაგრამ ვეუბნები მათ, ხიფათია ქვემო ქართლში, პოლიტიკური ისლამი მოძლიერდა, თბილისში, ფონიჭალაში სერიოზული ვაჰაბისტური ელემენტებია, ვეუბნები, რომ ამ ხალხს იდეოლოგიურად უნდა დაუპირისპირდე. შიიტებს რომ არ აეტეხათ ამბავი მეჩეთის მშენებლობაზე, ჩვენ კარგა ხანს ვერ გავიგებდით ამას, მით უმეტეს, როცა ნებართვა გაცემული იყო მერიის მიერ. სეპარატიზმი რუსეთის იდეაა, თორემ სულ არ სჭირდებათ ეს სომხებს. სომხებს სჭირდებათ, საქართველო იყოს ისეთი, როგორიც არის, ევროკავშირთან დაახლოებული, თავად არის საბაჟო კავშირთან დაახლოებული, მას აქვს პრობლემები ევროკავშირთან, ფირმების ნაწილს გადმოიტანს, რომ აქედან ევროკავშირში სომხური პროდუქტის გატანა მოხდეს, როგორც ქართული დასახელების.

**როგორ მოიქცევა პარლამენტი, თუ ენის სტატუსის საკითხს ოფიციალურად შეიტანენ? „ალია“ უმრავლესობის წევრს, ზაქარია ქუცნაშვილს ესაუბრა:**

„თუ ოფიციალური მოთხოვნით შემოვლენ, ეს ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივი გამგეობაც დაუჭერს მხარს მოთხოვნას, ახალციხისა და ახალქალაქის გამგებელიც, საკრებულოს თავმჯდომარეც. საქართველოს პარლამენტი იმოქმედებს ევროპული ქარტიით, თვითმმართველობისა და ადგილობრივი რეგიონალური ენების თაობაზე. ჩვენ გამოვალთ ქარტიის პუნქტებიდან და რა გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, ამაზე შევთანხმდებით“.

**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## იუსტიციის სამინისტრო შეკრებითობის პრინციპის აღდგენაზე განმარტებას აკეთებს

„დანაშაულის შეკრებითობის პრინციპის ე.წ. აღდგენასა და მასთან დაკავშირებულ არაჯანსაღ აჟიოტაჟთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სურს, განაცხადოს შემდეგი:

თავიდანვე, ანუ 1999 წლიდანვე, როდესაც იქნა მიღებული სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედი რედაქცია, კოდექსის 59-ე მუხლში ჩაიდო პრინციპი, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს, თუ დანაშაულთა ერთობლიობა შედგებოდა მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულთაგან, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავდა ნაკლებად მკაცრს; თუ იგი შედგებოდა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთაგან, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბებოდა ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები; ხოლო, თუ დანაშაულთა ერთობლიობა შედგებოდა ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთაგან, ან/და ნაკლებად მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთაგან, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავდა ნაკლებად მკაცრს ან/და ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბებოდა ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები.

სხვა სიტყვებით, კოდექსი ითვალისწინებდა დიფერენცირებულ მიდგომას დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით დანაშაულთა სხვადასხვა კომბინაციის შემთხვევაში. ამასთანავე, რიგ შემთხვევებში, კანონმდებელი მოსამართლეს უტოვებდა დისკრეციას, განესაზღვრა, რომელი პრინციპი გამოეყენებინა, სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების, მთლიანი შეკრების, თუ შთანთქმის.

2006 წელს, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, დადგენილ იქნა, რომ ყველა შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას მოხდებოდა სასჯელების მთლიანად შეკრება. სხვა სიტყვებით, წინა პერიოდის ალტერნატიული მიდგომისგან განსხვავებით, შემოღებული იქნა ერთიანი, უნიფიცირებული ე.წ. სასჯელთა „უპირობო შეკრების“ პრინციპი, როდესაც ნებისმიერ ვითარებაში, საქმის კონკრეტული გარემოებების მიუხედავად, დამნაშავის პიროვნებისა და ჩადენილ ქმედებათა საშიშროების მიუხედავად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მიუხედავად, სასამართლოს ეკისრებოდა უპირობო ვალდებულება, მთლიანად შეეკრიბა სასჯელები.

2013 წელს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, უნდა გაუქმებულიყო სასჯელთა უპირობო შეკრების პრინციპი და უნდა აღდგენილიყო ძველი, ალტერნატიული მიდგომის პრინციპი, რომლის მთავარი სიკეთეებია სასჯელის პროპორციულობა და ინდივიდუალიზაცია, აგრეთვე, მოსამართლის დისკრეცია, საქმის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა საშიშროებიდან გამომდინარე, თავად განსაზღვროს, რომელი პრინციპი გამოიყენოს, სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების, მთლიანი შეკრების, თუ შთანთქმის. თუმცა, საბოლოოდ ისე მოხდა, რომ პარლამენტმა მიიღო 59-ე მუხლის ისეთი ვერსია, რომლის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს უფრო მკაცრი სასჯელი ყველა შემთხვევაში შთანთქავდა ნაკლებად მკაცრს. ფაქტობრივად, ამით დადგენილი იქნა სასჯელთა „უპირობო შთანთქმის პრინციპი“.

იუსტიციის სამინისტროს, ისევე, როგორც სამართალდამცავ ორგანოებს, მიაჩნიათ, რაც პრაქტიკამაც დაგვანახვა, რომ სასჯელთა უპირობო შთანთქმის პრინციპი ისევე ნაკლოვანია, როგორც სასჯელთა უპირობო შეკრების პრინციპი, რადგან არც ასეთ შემთხვევაში ხდება საბოლოო სასჯელის დანიშვნა საქმის კონკრეტული გარემოებებიდან, დამნაშავის პიროვნებიდან და ჩადენილ ქმედებათა საშიშროებიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, სასჯელთა უპირობო შთანთქმის პრინციპმა შეიძლება უბიძგოს დამნაშავეს, ერთ დანაშაულთან ერთად ჩაიდინოს ორი, სამი ან მეტი დანაშაული, ეცოდინება რა, რომ, ფაქტობრივად, დაისჯება მხოლოდ ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის, რადგან ამ დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელი ყოველთვის შთანთქავს სხვა დანაშაულებისთვის დანიშნულ სასჯელს.

ამიტომ ჩვენ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში, რომელშიც იუსტიციის სამინისტროს გარდა, ასევე, შედიან სამართალდამცავი ორგანოების, საქართველოს პარლამენტის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი და უცხოური სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, სისხლის სამართლის სფეროს სპეციალისტები და ექსპერტები, მიღებულ იქნა წინადადება, რომ აღდგენილ იქნეს ალტერნატიული მიდგომა და, ამასთანავე, სასჯელთა შეკრების შემთხვევაშიც კი, დადგენილ იქნეს საბოლოო სასჯელის ზედა ზღვარი.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული რედაქცია ასეთია: „დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრ ან იგივე ზომის სასჯელს ან სასჯელები ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება. სასჯელთა ნაწილობრივ ან მთლიანად შეკრების შემთხვევაში, საბოლოოდ დანიშნული სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ჩადენილ დანაშაულთა შორის ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელისა და მისი ნახევრის ჯამს“.



საინტერესოა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის (სწორედ იმისა, რომლის მონაწილეობითაც იქნა შემოღებული თავის დროზე „უპირობო შეკრების“ უკიდურესად უსამართლო პრინციპი) მტკიცებით, შემოთავაზებული რედაქცია თითქოს ბევრად უარესია იმაზე, რაც თავად მან და მისმა პოლიტიკურმა გუნდმა მოგვახვიეს თავს ამ ქვეყანაში.

ერთი კონკრეტული მაგალითი აშკარად წარმოაჩენს ამგვარი მტკიცების უსუსურობას. დავუშვათ, რომ პირმა ჩაიდინა 4 დანაშაული, რომელთაგან ერთისთვის მას დაენიშნა მაქსიმალური სასჯელი 10 წელი; მეორესთვის 7; მესამესთვის 4 და მეოთხესთვის 3 წელი. „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემოღებული წესის მიხედვით, ამ პირს საბოლოო სასჯელად უნდა დანიშვნოდა 24 წელი, მაშინ, როდესაც, ჩვენ მიერ შემოთავაზებული სქემით, ამ პირს არ შეიძლება დაენიშნოს 15 წელზე მეტი, რადგან ეს არის ჯამი ყველაზე მკაცრი მაქსიმალური სასჯელისა (10 წელი) და მისი ნახევრისა (5 წელი). ცხადია, რომ 15 წელი 24 წელზე ნაკლებია. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, რატომ არის ჩვენი მიდგომა იმაზე „უარესი“, რაც წლების განმავლობაში ჰქონდა დადგენილი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, უპირობო შთანთქმის შემთხვევაში, ამ პირს ვერ დაენიშნებოდა 10 წელზე მეტი, რადგან ეს სასჯელი შთანთქავდა ყველა დანარჩენს, რაც, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება მეტისმეტად ლმობიერი სასჯელი ყოფილიყო დამნაშავისათვის, რომელმაც ოთხი დანაშაული ჩაიდინა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მაგალითი ნათლად მეტყველებს ჩვენ მიერ შემოთავაზებული პრინციპის უპირატესობაზე ყველაზე უწინდელ ვარიანტთან შედარებით“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)



სიდედრი მანქანაში ჯდება. სიძემ ფანჯრიდან გადასძახა:

– საით გაგიწევია, ძვირფასო დედიკო?

– სასაფლაოზე მივდივარ, შვილო.

– და მანქანას ვინ მოიყვანს სახლში?

*****

ქმარი ცოლს:

– ჩემო ლამაზო, მეტყვი ხოლმე, როცა ორგაზმი გექნება?

– ჰო, მაგრამ საყვარელო, ყოველ ჯერზე სად გირეკო ხოლმე სამსახურში?..

*****

„ვიკიპედია“: მე ყველაფერი ვიცი!

„გუგლი“: მე ყველაფერს ვიპოვი!

„ფეისბუკი“: მე ყველას ვიცნობ!

„ინტერნეტი“: ჩემს გარეშე არარაობა ხართ!

ელექტროენერგია: აბა, ხმა ჩაიკმინდა ყველამ!!!

*****

გადაღლილი ტაქსისტი, რომელსაც ორი დღე გადაბმულად მოუწია მუშაობა, სახლისკენ გვიან ღამით გაუყვა გზას. გზაში იმ ქუჩაზე მოხვდა, სადაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალები მუშაობენ.

ერთ-ერთმა ხელი აუწია. ტაქსისტმა გააჩერა, გოგონამ ფანჯარაში შეიხედა და:

– ორალური 50!

ტაქსისტი ჩაფიქრდა:

– ორალური 50... ორალური 50... სად არის ეგ ქუჩა?

*****

მომხიბვლელი ქერა გოგონა ექიმთან მივიდა:

– ექიმო, სერიოზული პრობლემა მაქვს – რაც არ უნდა მოხდეს, 5 წუთში აბსოლუტურად ყველაფერი მავიწყდება.

– გასაგებია... ახლა ადექით, გაშიშვლდით, დაწექით და მეც მოვალ...

*****



– ძვირფასო, ახლა მართლა გამაოცე – დაქალს ტელეფონით სულ რაღაც 20 წუთი ელაპარაკე!

– მაცადე, კაცო, ნომერი შემეშალა!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## პრეისტორიული ანტიბიოტიკის აღდგენა უამრავ „თანამედროვე“ დაავადებას დაამარცხებს



მეცნიერებმა შენაერთების სინთეზირება შეძლეს, რომელსაც ძუძუმწოვრები 59 მილიონი წლის წინათ გამოიმუშავებდნენ. იგი არაერთი ბაქტერიის საწინააღმდეგო მძლავრი საშუალება აღმოჩნდა, რომლებსაც თანამედროვე პრეპარატები ვერაფერს აკლებენ.

მკვლევარებმა ლა ტრობას ავსტრალიური უნივერსიტეტიდან ძლიერი ანტიბიოტიკის ძიებისას საკმაოდ ორიგინალური მიდგომა გამოიჩინეს – მათ პლანეტის შორეულ წარსულში დაბრუნება გადაწყვიტეს.

ჩვეულებრივ, ბიოქიმიკოსები და ფარმაცევტები ბაქტერიების თავდაცვის მექანიზმში სუსტი ადგილის მიგნებას ცდილობენ, შემდეგ მოლეკულების კონსტრუირებას ახდენენ და პრეპარატს ასე ქმნიან. მაგრამ მიკრობები იცვლება, მედიკამენტებს ეჩვევა და მათ დასამარცხებლად რბოლა ხელახლა იწყება. საბედნიეროდ, არსებობს ბუნებრივი ანტიბიოტიკების ჯგუფი, რომლებსაც ცხოველების იმუნური სისტემა გამოიმუშავებს. აქედან გამომდინარე, ავსტრალიელების გადაწყვეტილების ახსნა ადვილად შეიძლება.

არჩევანი მათ კენგურუს უძველეს სახეობაზე შეაჩერეს, სახელწოდებით „ტამმარი“, რომლის გენომიც 2008 წელს გაიშიფრა.

ტამმარას ნაშიერი დედის საშვილოსნოში ყოფნიდან 26 დღეში იბადება და მის ჩანთაში ინაცვლებს, რათა შემდგომი განვითარება შეძლოს. მაგრამ ამ თავშესაფარში არცთუ სტერილური მდგომარეობაა: ბიოლოგებმა იქ უამრავი ბაქტერია აღმოაჩინეს, რომლებიც ე.წ. სუპერ ბაქტერიებს ენათესავებიან და ჯანმრთელობისთვის სერიოზულ პრობლემებს ქმნიან.

გამოდის, რომ, რადგან პატარა კენგურუ ასეთ ბაქტერიებს უძლებს, ის ძლიერი იმუნური დაცვით სარგებლობს. ამასთანავე, კენგურუს გენი ადამიანის მემკვიდრეობით კოდთან გასაოცარი მსგავსებით გამოირჩევა. ამდენად, მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ მათი ანტიბიოტიკები ადამიანებსაც გამოადგებოდათ.

კვლევამ აჩვენა, რომ კენგურუს უძველესმა ანტიბიოტიკებმა შვიდიდან ექვსი ბაქტერია გაანადგურა, რომლებსაც თანამედროვე მედიკამენტების მიმართ იმუნიტეტი ჰქონდათ გამომუშავებული. გარდა ამისა, იგი 10-30-ჯერ მძლავრი აღმოჩნდა, ვიდრე თანამედროვე ანტიბიოტიკები.

კვლევის ავტორების აზრით, მათი მიგნება კაცობრიობას ძალიან ბევრ სიკეთეს მოუტანს, თუმცა რამდენად მალე შეძლებენ ადამიანები კენგურუს უძველესი ანტიბიოტიკის გამოყენებას, აღარ ზუსტდება.

***membrana.ru***

## ენთუზიასტმა 10 ათასი... ფალოსი შეაგროვა



არა, ენთუზიაზმს არაფერი სჯობს და მისასალმებელიც კია, თუ არსებობენ კიდევ ასეთი ადამიანები, მაგრამ რაღა მაინცდამაინც ფალოსს უნდა დაუკავშირო ეს იშვიათი დადებითი თვისება?

ასეა თუ ისე, პეტერბურგელი ანდრეი ტიხონოვის კოლექციაში უკვე შედის დაახლოებით 10 ათასამდე ფოტო, რომლებზეც სხვადასხვა რაკურსით სწორედ ფალოსებია აღბეჭდილი. საბედნიეროდ, „არა სამუშაო მდგომარეობაში“, არამედ ბრინჯაოსი, თაბაშირის, მარმარილოსი და ასე შემდეგ.

უცნაური იდეა, ფოტოაპარატით ფალოსები გადაეღო, ანდრეი ტიხონოვს წლების წინათ, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას დაებადა, როცა ექსკურსიაზე ქალაქ პუშკინში ჩავიდა.

ტიხონოვის განმარტებით, იმ პერიოდში კლასელი გოგონა უყვარდა, რომელიც ყურადღებას საერთოდ არ აქცევდა. პუშკინში ჩასულმა კი შეამჩნია, როგორი თვალებით მისჩერებოდა მისი რჩეული ჰერკულესის ქანდაკების ქვედა ნაწილს.

– მაშინვე მას რამდენიმე ფოტო გადავუღე და მეორე დღეს მაშკას ვაჩუქე წარწერით: „ახლა ვიცი, რაც გაინტერესებს“. რა თქმა უნდა, გაბრაზდა და საჩუქარი თავში მესროლა, მაგრამ მე ძალიან კმაყოფილი ვიყავი. აი, მას შემდეგ დავიწყე ფალოსების გადაღება, – იხსენებს რუსი ფოტოგრაფი.

შემდეგ უკვე დაიწყო და დაიწყო. ახალი „შედევრების“ ძიებაში ანდრეი ტიხონოვმა სულ არაფრის გამო, მხოლოდ ენთუზიაზმისთვის, ლამის მთელი რუსეთი და მსოფლიო შემოიარა, რომ ფოტოაპარატით ახალ-ახალი ფალოსები გადაეღო...

***sobesednik.ru***

## სიგარეტი სასქესო ორგანოს სიგრძეზეც მოქმედებსო



მოდით, ასე ვთქვათ, რომ სიგარეტის უარყოფითი ზემოქმედების ჩამონათვალი ძალიან ვრცელია და ამაზე ბევრჯერ მოგვიყოლია. ისიც გვითქვამს, რომ სხვა ყველაფერთან ერთად, მოწევა ნეგატიურ გავლენას ახდენს სექსუალური ცხოვრებისა და ასევე, სპერმის ხარისხზეც. ახლა კი ცნობილი ხდება, რომ მავნე ჩვევა მამაკაცის სასქესო ორგანოს ზომების დაუძინებელი მტერიც ყოფილა.

აღნიშნული დასკვნის ავტორები ამერიკელი მეცნიერები არიან, რომლებმაც შემდეგი სახის კვლევა ჩაატარეს:

65 მოხალისეს ნიკოტინდამოკიდებულების მოსაშორებლად 8-კვირიანი კურსის გავლა შესთავაზეს, რომელიც ზოგმა დასძლია, ზოგმა კი სიგარეტზე უარი, სამწუხაროდ, მაინც ვერ თქვა.

კურსის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგაც, კვლევის ავტორები მოხალისეებს ეროტიკულ ფილმებს აყურებინებდნენ და პარალელურად, სპეციალური მოწყობილობით მათი სასქესო ორგანოს სიგრძესაც ზომავდნენ.

ცოტა არ იყოს, რთული დასაჯერებელია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვინც სიგარეტი გადააგდო, მათი „სიამაყე“ სიგრძეში გაიზარდა. გარდა ამისა, მოემატათ სექსუალური ძალაც. მოკლედ, კიდევ ერთხელ და საფუძვლიანად უნდა დაფიქრდეთ, ღირს თუ არა ამ ოხერი და დასაწვავი სიგარეტის მონობა?!

***novonews.lv***

## ელექტროობის „მოპოვება“ ადამიანის... ცხვირიდანაც შეიძლება?



ვინც განსაკუთრებით „ნიჭიერია“, ის ყოველთვის პოულობს ხოლმე ძალიან საინტერესო რამეს იქაც კი, სადაც ძებნას აზრი არ აქვს.

აბა, წარმოიდგენდით, ცხვირში რამე სასარგებლოს მოძებნა თუ შეიძლებოდა და მით უმეტეს, ელექტროენერგიის?!

არ გჯერათ და ვისაც სჯერათ, ის გამოატარეთ, კაცო!

ტექნოლოგია, რომელსაც ამერიკელი მკვლევარები გვთავაზობენ, პიეზოელექტრო ეფექტზეა დაფუძნებული, რომელიც სუნთქვის ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება.

მიკროელექტრონიკისა და ნანოტექნოლოგიების მიღწევები შესაძლებლობას იძლევა, შეიქმნას შორი მოქმედების ციცქნა ბიოიმპლანტანტები, რომლებიც, თავის მხრივ, ადამიანს მისცემს უნიკალურ შანსს, სისხლში გლუკოზის დონე აკონტროლოს, ან კიდევ, უზრუნველყოს კარდიოსტიმულატორის შეუჩერებელი მუშაობა. ამ ყველაფრისთვის კი ენერგიაა საჭირო, თუნდაც უმნიშვნელო რაოდენობით.

ამერიკელი მეცნიერების თქმით, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს კვების მინიატურული წყაროების შექმნას, როცა ადამიანს თავად შეუძლია ენერგიის გამომუშავება იმავე ცხვირში თითის შეყოფით, ან გნებავთ, სისხლის მიმოქცევით, სუნთქვის შედეგად გამოყოფილი სითბოთი და ასე შემდეგ.

როდის მიიღებენ ან უკვე აქვთ თუ არა ამერიკელებს რეალური შედეგი, მიიღონ ბუნებრივი ენერგია ადამიანისთვის მართლაც ძალიან სერიოზული საკითხების გასაკონტროლებლად, რატომღაც, აღარ ზუსტდება, თუმცა რადგან ამ თემაზე ჩამოვარდა სიტყვა, ალბათ, სიახლეებს უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ორი კვირის წინ ბრიტანელებმა გამოიგონეს ჩიპი, რომელიც დიაბეტის მქონე ადამიანებს კანქვეშ უმაგრდებათ და სისხლში მომხდარ ცვლილებებს აკონტროლებს, თუმცა მათ ვერ შეძლეს უწყვეტი ენერგიის წყაროს გამოგონება. თუკი ნისლიან ალბიონზე ამერიკელების ამ უცნაური და ამასთანავე, მნიშვნელოვანი აღმოჩენით დაინტერესდებიან, ალბათ, მედიცინა კიდევ უფრო წინ წასვლას შეძლებს.

***science.computlenta.ru***

## ყველაზე ანომალიური ნივთიერება... წყალი?



მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ორგანიზმის 80 პროცენტი წყლისგან შედგება, თანამედროვე მეცნიერებას მის შესახებ ამომწურავი კი არა, მიახლოებითი ინფორმაციაც არ გააჩნია. პარადოქსია, მაგრამ როცა ასტრონავტები ეძებენ პლანეტებს, სადაც წყალი იქნება, „მიწიერ მეცნიერებს“ მისი თვისებების ახსნაც კი არ შეუძლიათ. დიახ, წყალი ძალიან უცნაური ნივთიერებაა და მეცნიერება დღემდე არ მისულა იმ დონემდე, რომ ეს უცნაურობები ლოგიკურად ახსნას.

დავიწყოთ იმით, რომ სუფთა მეცნიერული თვალსაზრისით, არავინ იცის, საიდან გაჩნდა წყალი. არსებობს ორი ძირითადი ვერსია: პირველი – შესაძლოა, ოდესღაც მზის სისტემაში ყინულის კუდის მქონე უზარმაზარმა კომეტამ გაიფრინა, ეს კუდი დედამიწის მიზიდულობის არეალში მოექცა, მის ზედაპირზე დაეცა, დადნა და ოკეანედ იქცა. მეორე – წყალი ყოველთვის არსებობდა დედამიწაზე, უბრალოდ, ძალიან დიდი ხნის მანძილზე მიწისქვეშ იმალებოდა და ელოდა, როდის დამთავრდებოდა გალაქტიკაში ქაოსი. შემდეგ უკვე ზედაპირზეც ამოაღწია.

ესეც ორი ხერხით უნდა მომხდარიყო: წლების მანძილზე წყალი მიწის ზედაპირზე ნელ-ნელა ამოდიოდა და შემდეგ მთელი პლანეტა დაფარა. მეორე – დედამიწას კომეტა, სხვა პლანეტა ან მფრინავი თეფში შეეჯახა, ან კიდევ, სხვა რამე კატაკლიზმას ჰქონდა ადგილი, რასაც მიწის ქვეშ დამალული წყლის ერთბაშად ამოხეთქვა მოჰყვა.



წარმოიდგინეთ, ამ დროს რა სანახობა იქნებოდა: ჩვენი პრეზიდენტის ბედნიერება საზღვრებს დაკარგავდა, რადგან მთელ პლანეტაზე მილიონობით და მილიარდობით შადრევანი ამოქმედდებოდა.

ხუმრობა იქით იყოს და სანახაობა მართლაც იშვიათი იქნებოდა: უწყლო დედამიწაზე უამრავი გეიზერი გაჩნდებოდა და სწორედ ამის შედეგად წარმოიქმნებოდა უზარმაზარი ღრუბლები, ხოლო უსახური დედამიწა მბრწყინავ საუნჯედ გადაიქცეოდა. წყალს ხომ ბევრ საგანთან „მიწებება“ და მათში ჩაჯდომა შეუძლია. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ნივთების გაჟღენთვის თვისებითაა გამორჩეული. დიდი ხნის მანძილზე მეცნიერები ამ მოვლენას ვერაფრით ხსნიდნენ, თუმცა ბოლოს დაადგინეს, რომ ყველა ნივთიერების მოლეკულას, რომლებიც წყლით იჟღინთება, აუცილებლად აქვს ჟანგბადის ატომები. წყლის მოლეკულები კი ენერგეტიკულად არამდგრადია, ანუ ადვილად ამყარებს კავშირს „უცხო“ ჟანგბადის ატომებთან. ჰოდა, აგერ, შედეგიც: თქვენი ჰალსტუხი კვლავ წვნიანისა და ლუდის ლაქებითაა გაჟღენთილი და ასეთი ჰალსტუხის ღეჭვაც უფრო გემრიელია.

არსებობს ასეთი ცნება – კაპილარულობა, ანუ სითხის თვისება, შეაღწიოს მყარი მასალის ფორებსა და არხებში. მიიჩნევა, რომ ეს ზედაპირის დაჭიმულობის ეფექტის გამო ხდება, მაგრამ უფრო დიდი სასწაულია ის, რომ კაპილარულობის მოვლენა არეგულირებს გრუნტის წყლების მოძრაობასაც და სისხლის მიმოქცევასაც ცოცხალ ორგანიზმებში. ყველა სითხე, რომელიც იყინება, მყარი ხდება, მაგრამ არა წყალი. მართალია, თავიდან წყალიც ისევე იქცევა, როგორც სხვა ნივთიერება, მაგრამ შემდეგ მაინც აქტიურდება.

უცნაურია, არა? ჰოდა, სწორედ ამიტომ, მეცნიერები დღემდე ვერაფრით გარკვეულან, მაინც რა არის წყალი და რატომ იქცევა ის არაადეკვატურად, მოუწესრიგებლად და უბრალოდ, სხვა ნივთიერებებთან შედარებით ასე ანომალიურად.

***anubis.ucoz.ua***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. მხატვარი კლოდ ...
2. ვულკანი სიცილიაზე
3. მიწის ფართობის საზომი ერთეული
4. ჰიპოკრა-ტეს ...
5. თვალის ქვედა ნაწილი
6. დასტინ ჰოფმანი ფილმში
7. ოქროს ძაფი
8. ქუჩა ნიუ-იორკში
9. თმის საპრია-ლებელი საცხი
10. ქვანახშირის აუზი გერმანიაში
11. ნაჭრის ჩანთა
12. მოხეტიალე ცირკის შენობა
13. მინაწერი ტექსტის ბოლოს
14. გიორგი, იგივე ... ლეონიძე
15. მსახიობი მარისა ...
16. ასმეთაური ძველ რომში
17. უეცარი შიში
18. „სწავლობს გიგლა ..."
19. ჯომო-ლუნგმა, ანუ ...
20. კომ-პოზიტორი ... ყანჩელი
21. ფირის შუქური უკუღმა გამოსახულ.
22. მოსეს ძმა (ბიბლ.)
23. რა იყო ტ. ჰეიერდალის „კონტიკი"
24. ... შვარცე-ნეგერი
25. ხის წვერო
26. მხატვარი ... მოდილიანი
27. მამათა დიდი მონასტერი
28. ანტუან დე ... ეგზიუპერი
29. მდიდრული აგარაკი
30. სრუტე ...-დე-კალე
31. გეოლოგი-ური პერიოდი
32. ჰარისონ ფორდი: ... ჯონსი
33. მომღერალი მუსლიმ ...
34. ქალაქი გერმანიაში
35. მხ/ფ. „ხევსურუ-ლი ..."
36. ორიდან ერთ-ერთის არჩევანი
37. საგალობე-ლი „...-მარია"
38. მსახიობი ... დარკი
39. მწერალი ლუიჯი ...
40. ძვ. სამედიცინო წიგნი „... დაუდი"
41. საფლავზე აღმართული ბორცვი
42. სოფელი ქარელის რაიონში
43. ფედერიკო ფელინის ფილმი
44. ბრტყელი მრგვალი პური
45. ხელოვნური ენა
46. მხ/ფ. „... ჩამოვიდნენ მთიდან"
47. ოდესური ანეკდო-ტების მთავარი მოქმედი პერსონაჟი
48. ჟურნალის-ტი ... ჯოჯუა
49. მალვინას პუდელი (ზღაპრიდან)
50. ბზრიალა
51. მსახიობი სოფი ...
52. მელოდია სიმღერი-სათვის
53. თავისუ-ფალი სამუშაო ადგილი
54. დაბალი მარად-მწვანე ხე
55. უკმაყო-ფილების გამოხატვა
56. მწერალი ვასილ ...
57. ჩრდილოეთ-გერმანელი (ისტ.)
58. ფუტკრების სადგომი
59. აურზაური, სენსაცია
60. მომღერალი ... მეფარიძე
61. მსახიობი ... კრუზი
62. მწვალებ-ლობა (რელიგ.)
63. კითხვა. დაესმის რიცხვით სახელს
64. თევზის ჯიში
65. მსახიობი ... დე ვიტო
66. მსახიობი ბენ ...
67. უმცროსი მეზღვაური
68. ტყის კაცი ქართულ მითოლოგ.
69. ნიჩბებიანი ტრანსპორ-ტი
70. ახალი ზელანდიის აბორიგენი
71. მდინარე სამხრეთ ამერიკაში
72. ტაბლეტი
73. მარილია-ნის გემო
74. ზღვა ბოსფორისა და დარდანე-ლის სრუტეებს შორის
75. მწვანილი
76. ბადრიჯნი-ანი კერძი
77. თვითმფრი-ნავის ფანჯარა
78. შეძახილი თეატრში
79. აჭარული ხაჭაპური
80. ერთთვალა გოლიათი ბერძნ.მით.
81. გემის დაპყრობა მეკობრეე-ბის მიერ
82. პოლიტი-კოსი ... ჩიხრაძე
83. მამლის ჯიღა
84. ერთგვარი ნამცხვარი
85. საქონლის ფაშვის წვნიანი
86. რეჟისორი ... ტარანტინო
87. იაპონური თეატრი
88. ქალთა უფლებების დამცველი
89. დაბალი ბუფეტი ჭურჭლი-სათვის
90. მხ/ფ. „აკაკის ..."
91. შრეკის სატრფო (მულტფ.)
92. მეტყვე-ლების ექიმი
93. მსახიობი ... მანჯგალაძე
94. უბანი თბილისში
95. ... ჰო, ... არა
96. საკვების ენერგიის ერთეული
97. მსახიობი უაინონა ...
98. ... ჩიბურ-დანიძე
99. პერსონა ...-გრატა
100. ცხენოსანი ტორეადო-რი
101. თავფეხიანი მოლუსკი
102. აკრობატის სამოსი
103. ლაზათი
104. ... ხაიამი
105. საზეიმო მუსიკალუ-რი ნა-წარმოები
106. ვიოლინოს წინამორბე-დი ინსტრ.
107. საბჭოთა თვითმფრი-ნავის მარკა
108. წყალქვეშა კლდე
109. შტატი აშშ-ში
110. პატარა არია
111. მსახიობი ... ტაილერი
112. კონცენ-ტრირებული გოგირდ-მჟავა
113. ძველი რომაელის სამოსი
114. კომში
115. ძვ. რუსული სიგრძის ერთეული
116. მხ/ფ. „საკარნავა-ლო ღამე", ლექტორი
117. მდინარე ინდოეთში
118. ზღაპარი: „პრინცესა ... მარცვალზე"
119. პოეზიის ჟანრი
120. მტაცებელი ცხოველი სავანაში
121. მსახიობი ... ნორტონი
122. მომთვი-ნიერებლის შეძახილი ცირკში
123. კბილის დამცავი ფენა
124. რიცხვი
125. მზის სისტემის პლანეტა
126. მამალი თხა
127. მსახიობი ... ვენტურა
128. თავად-აზნაურული ტიტული ინგლისში
129. დახვეული ნამცხვარი
130. ლითონი. ადნობენ პლატი-ნასთან
131. სამოთხის ბაღი (ბიბლ.)
132. ნახ. კუნძული ყვითელ ზღვაში
133. ტურ ჰეიერდალის პაპირუსის გემი
134. დედამი-წის ზემოთ არსებული სივრცე
135. კუდიანი ვარსკვლავი
136. კურორტი ნარაგა-ულთან
137. მსახიობი ... პაპასი
138. ქალაქი ესპანეთში
139. ღლავი
140. გაზის გამათბობ-ლის ფირმა
141. შვილიშვი-ლი
142. ფეთქებადი ნივთიერება
143. სოფელი რაჭაში
144. ლონდონის ცენტრი
145. სტალო-ნეს გმირი ... ბალბოა
146. ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი
147. ამერიკის შეერთებული შტატები, ანუ ...
148. მხარე საქართვე-ლოში
149. მსახიობი ... რურკი
150. მხატვარი კამილ ...
151. გადაშენე-ბული ფრინველი
152. ... ცურტავე-ლი
153. მდინარე პარიზში
154. ბამბის მტკიცე ქსოვილი
155. დიდი ხნის და-უმუშავებელი მიწა
156. სატელეფო-ნო ... ტერმინი
156. კოს-მონავტი ... გაგარინი



პასუხები: 1. მონე; 2. ეტნა; 3. აკრი; 4. ფიცი; 5. უპე; 6. „ტუტსი"; 7. სირმა; 8. ბროდვეი; 9. ბრიოლინი; 10. რური; 11. აბგა; 12. ბალაგანი; 13. პოსტსკრიპტუმი; 14. გოგლა; 15. ტომეი; 16. ცენტურიონი; 17. ელდა; 18. ტიტინა; 19. ევერესტი; 20. გია; 21. ნეგატივი; 22. აარონი; 23. ტივი; 24. არნოლდ; 25. კენწერო; 26. ამედეო; 27. ლავრა; 28. სენტ; 29. ვილა; 30. პა; 31. იურა; 32. ინდიანა; 33. მაგომაევი; 34. მიუნჰენი; 35. ბალადა; 36. ალტერნატივა; 37. ავე; 38. მირეი; 39. პირანდელო; 40. იადიგარ; 41. ყორღანი; 42. ყიწწვისი; 43. „რვანახევარი"; 44. ლავაში; 45. იდო; 46. ისინი; 47. რაბინოვიჩი; 48. დიანა; 49. არტემონი; 50. ჩიკორი; 51. ლორენი; 52. მუსიკა; 53. ვაკანსია; 54. ლვია; 55. პროტესტი; 56. ბარნოვი; 57. ნორმანი; 58. სკა; 59. ბუმი; 60. აჩი; 61. ტომ; 62. ერესი; 63. რამდენი; 64. ორაგული; 65. დენი; 66. აფლეკი; 67. მატროსი; 68. ოჩოკოჩი; 69. ნავი; 70. მაორი; 71. ორინოკო; 72. აბი; 73. მლაშე; 74. მარმარილო; 75. ოხრახუში; 76. აჯაფსანდალი; 77. ილუმინატორი; 78. ბის; 79. აჩმა; 80. ციკლოპი; 81. აბორდაჟი; 82. ფიქრია; 83. ბიბილო; 84. გალეტი; 85. ხაში; 86. კვენტინ; 87. კაბუკი; 88. ფემინისტი; 89. სერვანტი; 90. აკვანი; 91. ფიონა; 92. ლოგოპედი; 93. ეროსი; 94. ვაკე; 95. ან; 96. კალორია; 97. რაიდერი; 98. მაია; 99. ნონ; 100. პიკადორი; 101. კალმარი; 102. ტრიკო; 103. შნო; 104. ომარ; 105. კანტატა; 106. ვიოლა; 107. „ტუ"; 108. რიფი; 109. აიოვა; 110. არიეტა; 111. ლივ; 112. ოლეუმი; 113. ტუნიკა; 114. ბია; 115. საჟენი; 116. ფილიპოვი; 117. ინდი; 118. ცერცვის; 119. ლირიკა; 120. ლომი; 121. ედვარდ; 122. ალე; 123. ემალი; 124. ნოლი; 125. ვენერა; 126. ვაცი; 127. ლინო; 128. ლორდი; 129. რულეტი; 130. ირიდიუმი; 131. ედემი; 132. კორეა; 133. „რა"; 134. ცა; 135. კომეტა; 136. ნუნისი; 137. ირენ; 138. ვალიადოლიდი; 139. ლოქო; 140. „კარმა"; 141. ბადიში; 142. ამონალი; 143. ირი; 144. სიტი; 145. როკი; 146. შუ; 147. აშშ; 148. სვანეთი; 149. მიკი; 150. კორო; 151. მოა; 152. იაკობ; 153. სენა; 154. სატინი; 155. ყამირი; 156. ალო; 157. იური. იკითხება: მარჯნის რიფი.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge
ალია



1. ადგილი, რაშიც მდინარე მიედინება
2. კაზინო
3. „მიმინო" ვალიკო ...
4. ნასვრეტებიანი კოვზი
5. თათქარიძეების მოახლე გოგო
6. ვერცხლის ათცენტიანი
7. კომპოზიტორი ზაქარია ...
8. სოფელი ხაშურის რაიონში
9. მწნილი
10. ძველი, გამოუსადეგარი ნივთები
11. ამერიკელი მომღერალი ქალი
12. ... დიდი თვალები აქვს
13. სერიალი „... ქალაქში"
14. სახელმწიფო აფრიკაში
15. პოეტი ... მიცკევიჩი
16. საბუნებისმეტყველო მეცნიერება
17. სოფელი ახმეტის რაიონში
18. გვარის ეფროსი ალმ. ქვეყნებ.
19. მოგზაური ტიმ ...
20. ბერძნული ცეკვა
21. გულმკერდის ძვალი
22. მომღერალი თამარ ...
23. იგი წურბელებს აგროვებდა
24. რძის პროდუქტი
25. პირუტყვი პერუში
26. მსოფლიოს საოცრება: ... დაკიდებული ბაღები
27. ჭრილობა
28. ებრაული სალოცავი ტაძარი
29. ფანქრის შავი გული
30. ძალმომრეობა
31. შვედური წურდა ფული
32. ქვეყნიერების დასასრული
33. რეჟისორი ... იოსელიანი
34. შტატი აშშ-ში
35. ვულკანი სიცილიაზე
36. აკაკი წერეთლის ლექსი
37. ... ფონ ბისმარკი
38. დუმბაძე. „თეთრი ..."
39. ... ადამიანი: ძველი პალეოლითის ეპოქის ადამიანი
40. მსახიობი რობერტ დე ...
41. მწერალი იაკობ ...
42. ჯომოლუნგმა, ანუ ...
43. მწვერვალი კავკასიონზე
44. ისლანდიის დედაქალაქი
45. მინდვრის ყვავილი
46. შოკოლადის ხის ნაყოფი
47. მსახიობი ... შენგელაია
48. სპორტის სახეობა
49. ბავშვთა ორგანიზაცია აშშ-ში
50. მომღერალი ... ჯორჯი
51. მაიმუნის ჯიში
52. „... და ქილა ერბო"
53. მხატვარი ოგიუსტ ...
54. ბოსტნეული
55. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
56. დაწმენდილი შაქარი
57. ერთგვარი ლოტო
58. ზღვის ცხოველი წვეტიანი ცხვირით
59. მწერალი რედიარდ ...
60. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
61. პატარა ტანის ძაღლი
62. ცხენის ნაშიერი
63. რეჟისორი ... ვან სენტი
64. მომღერალი ... ჯონსი
65. მძიმე მრეწველობა
66. სისხლის მიმოქცევის ორგანო
67. „ბერნარდა ... სახლი"
68. ნაჭრის გასაშლელი სახლი
69. „შენ ... ვენახი"
70. ლუკ ბესონის ფილმი
71. პაპინიას შვილიშვილი
72. დაბა ადიგენის რაიონში
73. თევზის ძვალი
74. დიამეტრის ნახევარი
75. მშობიარობის დამხმარე
76. თხრილი წყლისათვის
77. ცელქი
78. ბალერინა ირმა ...
79. მომღერალი ... გილანი
80. გერმანული ავტომობილი
81. მხატვარი ანრი ...
82. იაპონური თაიგული
83. მხ/ფ „... მწვანე ველი"
84. მსახიობი ჯესიკა ...
85. კერძების ჩამონათვალი
86. ლითონის ჩაფხუტი
87. წყალსაცავი აზერბაიჯანში
88. კათხა
89. ქანდაკება თავისა და კიდურების გარეშე
90. პოეტი ვლადიმერ ...
91. ვულკანური მასა
92. ესკიმოსების ნავი
93. მხ/ფ „ნატვრის ..."
94. საღებავი ენდროს ფესვებისგან
95. მწერალი ოსკარ ...
96. გასაღები
97. წიწილებიანი დედალი
98. შესახედაობა
99. ტაილანდის ძველი სახელწ.
100. მხ/ფ „... სახლში"
101. ღობე
102. ჭკვიანური, გონებამახვილური, ანუ ...
103. დაბა თეთრიწყაროს რაიონში
104. ერნესტო ... გევარა
105. აქლემის ნაშიერი
106. ქიმიური ჭურჭელი
107. ქალაქი იტალიაში
108. გიგანტური ტალღა
109. საწებელი
110. განმუხტვა ღრუბლებში
111. ძვ. თბილისური მიმართვა
112. დიეგო არმანდო ...
113. მხედართმთავარი
114. წყლის ტრანსპორტი
115. ... მოგივა დავითაო
116. მსახიობი ლიუბოვ ...
117. მსახიობი ... პოუნი
118. ჭირი იქა, ლხინი ...
119. არაკი
120. მოდელი ... კროუფორდი
121. ქვის სვეტი წარწერით
122. მსახ ... ჯესიკა პარკერი
123. კაციჭამია
124. ხილი
125. რძის პროდუქტი
126. ქალაქი რაჭაში
127. ზიგზაგის ფორმის გრაფიკი
128. მწერალი ტომას ... რიდი
129. მდინარე იტალიაში
130. მსახიობი ... პარისი
131. ნიშან-სამკაული, რომელიც ვაჟს უნდა მიეტანა საპატარძლოსთვის
132. შინაური ფრინველი
133. ... გათეთრდების ყორანი
134. ფირნიში
135. რიცხვი ექვსი ნულით
136. მდინარე ინდოეთში
137. შინაური პირუტყვი

პასუხები: 1. კალაპოტი; 2. სამორინე; 3. მიზანდარი; 4. ქაფქირი; 5. ლამაზისეული; 6. დაიმი; 7. ფალიაშვილი; 8. ქვიშხეთი; 9. მარინადი; 10. ხარახურა; 11. მადონა; 12. შიშს; 13. შუა; 11. ტანზანია; 15. ადამ; 16. ქიმია; 17. ალვანი; 18. შეიხი; 19. სევერინი; 20. სირტაკი; 21. ლავიწი; 22. გვერდწითელი; 23. დურემარი; 24. მაწონი; 25. ლამა; 26. სემირამიდას; 27. იარა; 28. სინაგოგა; 29. გრაფიტი; 30. ტირანია; 31. ერე; 32. აპოკალიფსი; 33. ოთარ; 34. ალაბამა;. 35. ეტნა; 36. „ღამურა"; 37. ოტო; 38. ბაირაღები; 39. კრომანიონელი; 40. ნირო; 41. გოგებაშვილი; 42. ევერესტი; 43. უშბა; 44. რეიკიავიკი; 45. გვირილა; 46. კაკაო; 47. არიადნა; 48. რაგბი; 49. სკაუტი; 50. ბოი; 51. მირიკინი; 52. გლახაკი; 53. რენუარი; 54. ისპანახი; 55. სარაბანდა; 56. რაფინადი; 57. ბინგო; 58. ნარვალი; 59. კიპლინგი; 60. ომეგა; 61. ფინია; 62. კვიცი; 63. გას; 64. ნორა; 65. ინდუსტრია; 66. გული; 67. ალბას; 68. კარავი; 69. ხარ; 70. ნიკიტა; 71. აკიმი; 72. აბასთუმანი; 73. ფხა; 74. რადიუსი; 75. მეანი; 76. არხი; 77. ანცი; 78. ნიორაძე; 79. იან; 80. „მერსედესი"; 82. იკებანა; 83. დიდი; 84. ალბა; 85. მენიუ; 86. კასკა; 87. მინგეჩაური; 88. სირჩა; 89. ტორსი; 90. მაიაკოვსკი; 91. ლავა; 92. უმიაკი; 93. ხე; 94. ალიზარინი; 95. უაილდი; 96. კლიტე; 97. კრუხი; 98. იერი; 99. სიამი; 100. მარტო; 101. მესერი; 102. კრეატიული; 103. მანგლისი; 104. ჩე; 105. კოზაკი; 106. კოლბა; 107. ტრიესტი; 108. ცუნამი; 109. მდოგვი; 110. ელვა; 111. ტო; 112. მარადონა; 113. სარდალი; 114. ბორანი; 115. რაც; 116. ორლოვა; 117. გოლდი; 118. აქა; 119. იგავი; 120. სინდი; 121. სტელა; 122. სარა; 123. კანიბალი; 124. ბალი; 125. კარაქი; 126. ონი; 127. სინუსოიდა; 128. მაინ; 129. პო; 130. ედ; 131. ბელგა; 132. ბატი; 133. არ; 134. აბრა; 135. მილიონი; 136. ინდი; 137. ხარი. იკითხება: პირანია.

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი მეცნიერისა და პედაგოგის, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ

# ბიძინა ჭუმბურიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, ქართულ ფარმაცევტულ და სამედიცინო აკადემიურ საზოგადოებას ბურჯი გამოაკლდა – გარდაიცვალა **ბიძინა ჭუმბურიძე,** ფარმაციის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიისა და სოციალური მედიცინის აკადემიის აკადემიკოსი.

ბატონმა ბიძინა ჭუმბურიძემ ადამიანური, პროფესიული, ორგანიზაციული თვისებებით, ქმედებითა და სიტყვით, სამოქალაქო აქტივობით წარუშლელი კვალი დატოვა ფარმაციის დარგის წარმატებაში საქართველოში. მეტიც, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი განვითარება და ავტორიტეტი.

თბილისის ფარმაცევტული ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1945 წლიდან მან ცხოვრება და საქმიანობა დაუკავშირა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და მისი შენარჩუნებისთვის მეტად მნიშვნელოვან სფეროს. ბატონი ბიძინა სიცოცხლის ბოლო დღემდე ღირსეულად ემსახურა საყვარელ საქმეს. მისი მეცნიერული ინტერესის სფეროს თითქმის შვიდი ათეული წლის განმავლობაში ფარმაცევტული ქიმია, ფარმაცევტული ანალიზი, სამკურნალწამლო პრეპარატების ფარმაკოკინეტიკის, ქრომატოგრაფიული ანალიზის, ნარკოლოგიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის, სამკურნალო პრეპარატების სტანდარტიზების რთული და ღრმა მექანიზმების ფუნდამენტური კვლევა შეადგენდა. ამ მიმართულებით ის რამდენიმე სახელმძღვანელოს, ოცამდე გამოგონებისა და საავტორო მოწმობის, 250-ზე მეტი პუბლიკაციის, მათ შორის – რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი და თანაავტორია, რომელთა უმეტესობა ქრესტომათიულია ფარმაციის ამ მიმართულებით დაინტერესებული სპეციალისტებისთვის; მისი ხელმძღვანელობით ორი ათეული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციაა შესრულებული; მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გამოკვლეულია ორასამდე სამკურნალწამლო საშუალება, მათგან რამდენიმე ათეულის შესახებ მომზადდა ნორმატიული დოკუმენტაცია და დაიწყო სერიული წარმოება.

ბიძინა ჭუმბურიძის მოღვაწეობის არეალი საკმარისად ფართო იყო: წლების განმავლობაში იგი, აქტიურ და ნაყოფიერ აკადემიურ და კვლევით საქმიანობასთან ერთად, ჯანდაცვის სისტემის ორგანიზებაშიც მონაწილეობდა, იყო რა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი პროვიზორი, აქტიურად მონაწილეობდა წამლის ხარისხის კონტროლისა და სტანდარტიზაციის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში. მაგრამ მისი გული მაინც სტუდენტებს ეკუთვნოდა; მან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ქიმიის კათედრის ასისტენტის (1946-1954), დოცენტის (1954-1966), პროფესორის (1966-1973), კათედრის გამგის (1973-1996) რანგში ამაყად განვლო პროფესიული და აკადემიური კარიერის ყველა ეტაპი და ქართველ ფარმაცევტთა რამდენიმე ათეული თაობის პროფესიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მიიღო მნიშვნელოვანი მონაწილეობა. ბიძინა ჭუმბურიძის მდიდარ შემოქმედებაში გამოთქმული ჰიპოთეზები ინტენსიური კვლევის საგანი იქნება კიდევ მეცნიერთა არაერთი თაობისთვის.

ბატონმა ბიძინამ – ჭეშმარიტად პროგრესულმა ადამიანმა – იმთავითვე გაითავისა უმაღლესი განათლების თანამედროვე ტენდენციები და იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ფარმაციის ბაკალავრებს შესთავაზა სამაგისტრო პროგრამა ‘ფარმაცევტული ანალიზი“. პროგრამის ფარგლებში ბატონი ბიძინა სიცოცხლის ბოლო დღეებამდე განაგრძობდა ცოდნისა და გამოცდილების გადაცემას მომავალი სპეციალისტებისთვის. ბოლო წლებში ბატონი ბიძინას – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრის – რჩევა, შენიშვნა თუ წინადადება მეტად ღირებული იყო და ასეთად დარჩება მისი კოლეგებისა თუ სტუდენტებისთვის.

სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს ორიოდე თვის წინ ჰქონდათ სასიამოვნო შესაძლებლობა, სათანადო პატივით მიელოცათ ბატონი ბიძინასთვის 90 წლის იუბილე და კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყვნენ მის კრეატიულობასა და სიმხნევეში. სამწუხაროა, რომ ეს ბოლო საქმიანი შეხვედრა და საუბრები იყო მასთან... ...

ბატონი ბიძინა ჭუმბურიძის კომპეტენტურობა, ავკარგიანობა, პრინციპულობა და ახალგაზრდული შემართება, მიუხედავად მისი დარბაისლური ასაკისა, მუდამ მისაბაძი იქნება მომავალი თაობებისთვის, მრავალრიცხოვანი სტუდენტებისთვის, კოლეგებისთვის; მის გზასა და სახელს დღეს მისი ღირსეული შთამომავლობა აგრძელებს.

***თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი***

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**4 ივლისი:** დღეს ან სათანადოდ არ შეგაფასებენ, ან ზედმეტი წარმოდგენა შეექმნებათ თქვენზე. შეეცადეთ, თქვენი შესაძლებლობები სათანადოდ წარმოაჩინოთ.

**კურო 22.04-21.05**

**4 ივლისი:** სავარაუდოდ, სხვათა პრობლემებით უფრო მეტად იქნებით დაკავებული, ვიდრე საკუთარი საქმეებით. იქნებ დღის პირველი ნახევრიდან გეგმები შეგეცვალათ, ან სულაც არაფერი დაგეგმოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**4 ივლისი:** ეს დღე შეიძლება ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდეს. არავის მისცეთ თქვენთვის ხასიათის გაფუჭების უფლება, თუმცა ეს ადვილი არ იქნება.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**4 ივლისი:** მართალია, ყველაფერი დაგეგმილი უნდა გქონდეთ, მაგრამ გაუთვალისწინებელი შემთხვევებიც გაითვალისწინეთ, რაც, სავარაუდოდ, არაერთი იქნება.

**ლომი 23.07-22.08**

**4 ივლისი:** თუ მოინდომებთ, დღეს ბევრი ადამიანის ყურადღებას მიიპყრობთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი თქვენ მიმართ სიმპათიით იქნება განწყობილი, მაგრამ საინტერესო გამოცდილებას მიიღებთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**4 ივლისი:** მეგობრების დახმარებით რაღაც ახალსა და უჩვეულოს შექმნით. ფრთხილად იყავით, თქვენი ქმნილება შეიძლება არცთუ უხიფათო აღმოჩნდეს.

**სასწორი 23.09-22.10**

**4 ივლისი:** შეეცადეთ, ეს დღე საფუძვლიანად დაგეგმოთ და გეგმას არ გადაუხვიოთ. იმპროვიზაცია წარმატებას არ მოგიტანთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**4 ივლისი:** დღეს ზუსტად უნდა იცოდეთ, ვინ დააიგნორიროთ და როდის გაეცალოთ სიტუაციას. აკურატულობა თავიდან აგაცილებთ კონფლიქტს, რომლის ალბათობაც დიდია.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**4 ივლისი:** თქვენს გარშემო, როგორც ჩანს, დიდი მხიარულება იქნება. სწორედ ასეთი განწყობით მოგისაღამოვდებათ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**4 ივლისი:** ფულით ყველაფერს ვერ იყიდი, მაგრამ ბევრი რამის შეძენა კი შეიძლება. შეგიძლიათ, დღეს ფული ხარჯოთ, მაგრამ დროულად უნდა შეჩერდეთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**4 ივლისი:** რა სიტუაციაშიც არ უნდა იყოთ, მეგობრები მოგენატრებათ. იქნებ დაურეკოთ და მოიკითხოთ ისინი, ვინც მართლა გენატრებათ.

**თევზები 19.02-20.03**

**4 ივლისი:** შეეცადეთ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში კულტურულად მოიქცეთ და სიმშვიდე შეინარჩუნეთ, ეს დღეს ძალიან დაგჭირდებათ.

## ყვავილოვანი კომბოსტო საოჯახო აფთიაქის ნაცვლად



ყვავილოვანი კომბოსტო – ეს არის უზარმაზარი საბადო მინერალური მარილების, ცილებისა და ნახშირწყლების.

ამასთანავე, აღნიშნული პროდუქტის ცილები შეიცავენ ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელ ამინომჟავებს.

ყვავილოვანი კომბოსტო შეიცავს ვიტამინებს: ცე, ბე 1, ბე 2, ა, ასევე, კალიუმს, კალციუმს, ნატრიუმს, ფოსფორს, რკინასა და მაგნიუმს.

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ყვავილოვანი კომბოსტოს ხშირი მოხმარება არის საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალება სარძევე ჯირკვლის კიბოს წინააღმდეგ ქალბატონებისთვის და პროსტატის წინააღმდეგ მამაკაცებისთვის.

აი, რაც შეეხებათ გასტრიტით, ბრონქიტით დაავადებულებს და ასევე, თირკმელებთან და ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ადამიანებს, მათთვის ყვავილოვანი კომბოსტო ისეთივე აუცილებელი ყოფილა, როგორც ჰაერი!

მოკლედ, თუკი ზრუნავთ როგორც საკუთარ, ისე თქვენი ახლობლების ჯანმრთელობაზე, მაშინ გაითვალისწინეთ სპეციალისტების რჩევები და თუ ყოველდღე არა, ყვავილოვანი კომბოსტო კვირაში ორჯერ-სამჯერ მაინც მიიღეთ.

***myjane.ru***

## მეხსიერებისთვის და გონების გახსნისთვის საუკეთესო საოჯახო და საოფისე სასმელი



ამერიკელი მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ დღეში ორი ფინჯანი ყავა ადამიანის მეხსიერების გაუმჯობესებისთვის და ალცჰეიმერის დაავადების პროფილაქტიკისთვის უებარი საშუალებაა.

სპეციალური კვლევის ჩატარების შემდეგ, სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის სპეციალისტები ასკვნიან, რომ ზომიერ ფარგლებში მიღებულ კოფეინს თავის ტვინისთვის ძალიან ბევრი დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ზოგიერთი უჯრედი საშიში დაავადების გამოა დაზიანებული.

ამერიკელებმა თავიანთი კვლევის შედეგებს „რევოლუციური“ უწოდეს, რადგან ალცჰეიმერის დაავადებასთან ბრძოლას ხომ მთელი მსოფლიოს სწავლულები ცდილობენ.

ისე, უნდა ითქვას, რომ ფლორიდელმა სპეციალისტებმა კვლევა მხოლოდ თაგვებზე ჩაატარეს, მაგრამ ნებისმიერი დიდი აღმოჩენა ხომ, ფაქტობრივად, ყოველთვის საცდელი ცხოველების წყალობით კეთდება.

გარდა იმისა, რომ ამერიკელები ყავის მიღებას გვირჩევენ, ისინი ახალი პრეპარატის შექმნასაც აპირებენ, რომელშიც დიდი რაოდენობით კოფეინი შევა.

***medkarta.com***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ფსიქიატრის კაბინეტში მამაკაცი შეხოხდა, რომელსაც კბილებში რაღაც ეკავა.

ფსიქიატრი:

– უი, აბა, ვინ გვესტუმრა? კატა?

მამაკაცი კაბინეტის კუთხეში მიხოხდა. ექიმი მას თვალს არ აცილებს:

– ააა, ძაღლი მობრძანებულა...

მამაკაცი ყურადღებას არ აქცევს, ისევ დახოხავს...

– მივხვდი, ეტყობა, ზღარბია მოსული, პატარა ზღარბუნია...

– ბოლოს და ბოლოს, დამაცდი ინტერნეტის გაყვანას, თუ არა?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

»211359457

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.24